პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 70 (11983)
შაბათი, 25 მარტი, 1961 წ.
ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მეოთხე ყრილობას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების IV ყრილობას და მისი სახით ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენელთა 10 ათასიან რაზმს, რომლებიც გაერთიანებული არიან საზოგადოების რიგებში.

საზოგადოების მოღვაწეობამ პოვა ფართო აღიარება და რესპუბლიკის იდეური და კულტურული ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი, განუყოფელი ნაწილი გახდა. მით, რომ ღრმად აშუქებს მარქსიზმ--ლენინიზმის თეორიულ დებულებებს პრაქტიკასთან, ხალხის მასების შემოქმედებასთან განუყრელი კავშირით, დაუცხრომლად უწევს პროპაგანდას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლას მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის, ფართოდ ავრცელებს მეცნიერების, ტექნიკის უახლეს მიღწევებს და მოწინავე საწარმოო გამოცდილებას, საზოგადოებას თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლება, კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ღრმა გაგება საარსებო აუცილებლობა ხდება თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის, საზოგადოების მთელი საქმიანობა უნდა ავიყვანოთ ახალ, უფრო მაღალ დონეზე.

საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა იბრძოლოს ბურჟუაზიული იდეოლოგიის, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ, აქტიური დახმარება გაუწიოს კომუნისტური სულისკვეთების, ჩვევებისა და მორალის ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას.

საზოგადოება დაუცხრომლად უნდა ზრუნავდეს ლექციური პროპაგანდის იდეური დონის ამაღლებისა და თავისი რიგების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისის გაძლიერებისათვის. რესპუბლიკური საზოგადოების საქმიანობა უმჭიდროესად უნდა იყოს დაკავშირებული ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებათა ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

საზოგადოების მთელი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს სკკპ XXII ყრილობისათვის — პარტიისა და ხალხის ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის მზადების ნიშნით. საჭიროა ფართო პროპაგანდა გაუწიოთ საქართველოს მშრომელთა ვალდებულებებს, რომლებიც მათ იკისრეს სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად, გულდასმით გააცნოთ თვითეულ მშრომელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული იანვრის პლენუმის, ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მასალები, თათბირისა, რომლის მუშაობას ხელმძღვანელობდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების IV ყრილობას უსურვებს წარმატებებს მუშაობაში და გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საზოგადოება კვლავაც იქნება პარტიის ერთგული თანაშემწე კომუნისტური მშენებლობის საქმეში, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა პოლიტიკური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების IV ყრილობა

24 მარტს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების IV ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ.

აირჩიეს ყრილობის საქმიანი პრეზიდიუმი, სამდივნო, სამანდატო კომისია და სარედაქციო კომისია.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

დამტკიცებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

მოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე გააკეთა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა დ. ენუქიძემ, მეორე საკითხზე — პროფესორმა ნ. ქოიავამ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჯიბლაძემ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ყრილობისადმი.

სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ დოცენტმა ა. კაჭახიძემ.

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ა. ბაუჟაძე, საზოგადოების ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ვ. ივარდავა, სიღნაღის განყოფილების თავმჯდომარე შ. მახაშვილი, ზუგდიდის განყოფილების თავმჯდომარე პ. ჯიშკარიანი, რუსთავის საქალაქო განყოფილების თავმჯდომარე ი. ოვადოვსკა, სამხრეთ ოსეთის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე ს. გაბარაევი, ქუთაისის საქალაქო განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ვ. ჩაკვეტაძე, არაქართველ მოსახლეობაში მომუშავე კომისიის მდივანი დოცენტი ი. ამატუნი, მახარაძის რაიონის სოფელ დვაბზუს ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი მ. ხავთასი, მესტიის რაიონული განყოფილების თავმჯდომარე ა. გვიჩიანი, წალკის რაიონული განყოფილების თავმჯდომარე ა. პოლიხრონოვა, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოების სწავლული მდივანი გ. ვინოგრადოვი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ჯიბლაძემ.

გამოაქვეყნეს მისასალმებელი დეპეშები, რომლებიც გამოგზავნეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებებმა, ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერებმა.

სომხეთის სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით ყრილობის დელეგატებს მიესალმა ერევნის უნივერსიტეტის პროფესორი ზ. ბაშინჯაღიანი. მან საქართველოს საზოგადოებას საჩუქრად გადასცა სომხურ ენაზე გამოცემული კრებული „ქართული ლიტერატურის რჩეული ფურცლები“ და ალბომები „ერევანი“ და „საბჭოთა სომხეთი“.

ტაშის გრიალში ყრილობამ მიიღო მისალმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

ყრილობამ დამაკმაყოფილებლად ცნო საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მუშაობა, აირჩია გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. დასახულია ღონისძიებანი მოსახლეობაში პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის შემდგომი გაძლიერებისათვის.

* * *

გაიმართა ახლად არჩეული გამგეობის პლენუმი. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **გ. ძოწენიძე**, მოადგილეებად — პროფესორები **დ. ენუქიძე**, **დ. მშვენიერაძე**, **პ. ყლენტი**, პასუხისმგებელ მდივნად — **ი. თოდუა**. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია პროფესორი **ნ. ქოიავა**.

თათბირის მუშაობის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება. (საქინფორმი).

საპასუხო ვიზიტად

მოსკოვი, 23 მარტი. (საქინფორმი). კუბის მასწავლებელთა ეროვნული პროფკავშირის მიწვევით დღეს ჰავანაში საპასუხო ვიზიტად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. ი. მაღლაფერიძე**.

ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

აფრიკის ხალხთა მესამე კონფერენციის თავმჯდომარისადმი

მოსკოვი, 24 მარტი. (საქინფორმი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა აფრიკის ხალხთა III კონფერენციის თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გულითადად მიესალმა კონფერენციის მონაწილეებს და იმედი გამოთქვა, რომ კონფერენცია ხელს შეუწყობს აფრიკის ხალხთა ანტიკოლონიური მოძრაობის შემდგომ გაძლიერებას და ამით აფრიკის კონტინენტის გაწმენდას სამარცხვინო კოლონიური სისტემის ყველა ნაშთისაგან.

საბჭოთა კავშირის ხალხები, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანი, დიდად და გულწრფელად ხარობენ, რომ თითქმის 180 მილიონმა აფრიკელმა უკვე მოიპოვა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა და მიიღო შესაძლებლობა აქტიურად მონაწილეობდეს საერთაშორისო ცხოვრებაში, აღნიშნულია წერილში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაციის განხორციელება ახალ დიდ ღონისძიებებს მოითხოვს მთელი კაცობრიობის მხრივ და უწინარეს ყოვლისა კოლონიზატორთა მიერ დამონებული ხალხების მხრივ.

აღნიშნა რა, რომ ახლა ძალები, რომლებიც მოითხოვენ კოლონიალიზმის სრულ ლიკვიდაციას, ჭეშმარიტად უდიდესია და განუზომლად აღემატება კოლონიზატორთა ძალებს, ნ. ს. ხრუშჩოვმა აღუთქვა კონფერენციის მონაწილეებს, რომ საბჭოთა ხალხი ყველა ღონისძიებით შეუწყობს ხელს იმას, რომ კოლონიურ ხალხთა სამართლიანი მოთხოვნები სრულად იქნას დაკმაყოფილებული.

ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდისათვის

თელავი რაიონის კოლმეურნეობებმა მზესუმზირას, საგაზაფხულო ხორბლისა და საადრეო ბოსტნეული კულტურების თესვა დაამთავრეს. ახლა მთელი ძალები სიმინდის თესვისათვის მზადებაზეა გადაყვანილი. სიმინდი 3.970 ჰექტარზე უნდა დაითესოს. ამ ფართობიდან დიდ ნაწილზე შეტანილია სასუქები. ნიადაგის თესვისწინა დამუშავება მთავრდება.

* * *

სიღნაღი მარცვლეულისათვის ათასობით ჰექტარ მიწაზე თავდადებული შრომაა გაჩაღებული. სოფელ მაღაროს კოლმეურნეები მარტო სიმინდს 1100 ჰექტარზე დათესავენ. სიმინდისათვის გულმოდგინედ ზრუნავენ ნუკრიანელები. ნაკვეთები დაამუშავეს, სასუქები შეიტანეს, თესლი დააკალიბრეს, ტრაქტორები და სათესები მზად არის.

* * *

საგარეჯო თესვისათვის სასიმინდე ნაკვეთების მომზადება დასასრულს უახლოვდება. ნაკვეთებში შეტანილია 6.800 ტონა ნაკელი და 1.000 ტონა მინერალური სასუქი. გაცხოველებით წარმოებს სიმინდის თესლის დაკალიბრება.

თესვისწინა სამუშაოები რაიონში პირველმა დაამთავრა დაბა საგარეჯოს მერძევეობისა და მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის „საქართველოს“ მექანიზატორმა შალვა ტეტიაშვილმა. იგი წელს 100 ჰექტარ სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივად დაამუშავებს, ნაკვეთი მზად არის სათესად.

* * *

აბაშა **სიმინდის** უხვი მოსავლისათვის ლაშქრობაში ჩაებნენ რაიონის მესიმინდეები. კოლმეურნეობებმა სიმინდის მოსავლიანობის გაზრდის მიზნით ნაკვეთებში შეიტანეს სამი ათასი ტონა ნაკელი და ამდენივე მინერალური სასუქი.

წარმატებით მიმდინარეობს ნაკვეთების თესვისწინა დამუშავება, საამისოდ იარაღ-მანქანები დროზე მოამზადეს.

სიმინდის თესვისათვის განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ სოფელ ნორიოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ადრე შემოდგომაზე 800 ჰექტარი მზრალი მოხნეს, ახლა მზრალი დაფარცხეს და აოშვას აწარმოებენ.

* * *

ვანი **სასიმინდე** მიწები ძირითადად მოხნული და მომზადებულია თესვისათვის, ნიადაგში შეტანილია 300 ტონამდე ფოსფორისა და კალიუმის სასუქები. სოფლების ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის, კოლხიდის რუსთველის სახელობის, განთიადის ქდანოვის სახელობის, ლესელიძის სტალინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში სასიმინდე ნაკვეთები მზადა აქვთ დასათესად, სათესლე მასალა მომარაგებულია.

გეგმის შესრულება

ზუგდიდის რაიონმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 192 ტონა ხორცი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 169,1 ტონისა, რძე — 854, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 848,8 ტონისა, კვერცხი — 331.3 ათასი ცალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 309 ათასი ცალისა.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქინფორმი).

1

2

1 **ქარელის** რაიონის სოფელ ბრეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში წელს 120 ჰექტარზე დაითესება შაქრის ჭარხალი. მეჭარხლეებმა ვალდებულება აიღეს 90 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე, ნაცვლად 280 ცენტნერისა მიიღონ 300 ცენტნერი ჭარხალი, დანარჩენზე კი 450-450 ცენტნერი.

სურათზე: კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. დაბრუნდაშვილი და სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ტატვინიძე ამოწმებენ ჭარხლის თესლს თესვის წინ.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

* * *

2 **ბათუმის** რაიონის სოფელ ახალშენის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ფატი წითელაძე ხელმძღვანელობს, მასზე გაპიროვნებულ პლანტაციის ნაკვეთზე ყოველწლიურად ზრდის ჩაის ფოთლის მოსავლიანობას. წელს ბრიგადის მეჩაიეებმა გადაწყვიტეს ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 8 ტონა ჩაის ნედლეული, რაც 500 კილოგრამით აღემატება შარშანდელ მაჩვენებლებს. ამჟამად კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები ამზადებენ შეხავსებული ჩაის ნერგებს პლანტაციების გამეჩხერებულ ნაკვეთებზე დასარგავად.

სურათზე: მეჩაიე ნ. დიასამიძე და ბრიგადირი ფ. წითელაძე ამოწმებენ შეხავსებული მიწის გუნდებს ჩაის თესლით.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვში დაბრუნდა

24 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი** მოსკოვში დაბრუნდა ალმა-ატიდან, სადაც მონაწილეობდა ყაზახეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მუშაობაში.

ყაზანის ვაგზალში ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, პ. ნ. პოსპელოვი, გ. ი. ვორონოვი, ვ. ვ. გრიშინი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი **კ. ე. ვოროშილოვი**, გზათა მინისტრი **ბ. პ. ბეშჩევი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ნ. შელეპინი**, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ვ. ვ. კუზნეცოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომლები.

მოსკოვის ასობით მშრომელნი, რომლებიც ამ დროს ვაგზლის მოედანზე იმყოფებოდნენ, გულთბილად მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვს და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელებს. (საქინფორმი).

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ გულწრფელ სამძიმარს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და საგარეო და გერმანიის შინავაჭრობის მინისტრის ამხანაგ ჰენრიხ რაუს უდროოდ გარდაცვალების გამო.

ამხანაგი რაუ იყო საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე, მედგარი მებრძოლი ფაშიზმის წინააღმდეგ, თვალსაჩინო როლს ასრულებდა გერმანიის კომუნისტური პარტიის რევოლუციურ მოღვაწეობაში მისი დაარსების დროიდან. ამხანაგი რაუ მთელ ძალღონესა და ცოდნას ახმარდა ბრძოლას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის აშენებისათვის, ერთიანი მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის. ამხანაგი რაუ იყო საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობარი და დიდი წვლილი შეიტანა საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობის განმტკიცების საქმეში.

გერმანელი ხალხის ერთგული შვილის, ჰენრიხ რაუს ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

არასწორი რეკომენდაცია გაუქმებულია

მოსკოვი, 23 მარტი. (საქინფორმი). რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. პ. სოტნიკოვმა გააუქმა, როგორც არასწორი, ცენტრალურ შავმიწანიადაგიანი ზოლის ვ. ვ. დოკუჩაევის სახელობის სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის ი. ა. სკაჩკოვის რეკომენდაცია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სიმინდის ხშირი თესვის შესახებ.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მრავალი წლის პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ სიმინდი ყველაზე დიდ მოსავალს იძლევა კვადრატულ-ბუდობრივად თესვის დროს, როგორც წესი, როცა ბუდეში ორი მცენარეა. სიმინდის ხშირი თესვის დროს მკვეთრად მცირდება მარცვლეულის მოსავალი, ხოლო მიღებული სასილოსე მწვანე მასას ეკარგება საკვები თვისებები. ნათესთა შეხშირების გამო საჭირო ხდება ბუდეებში მცენარეთა ხელით გამეჩხერება, მცირდება მოსავალი, დიდდება მარცვლისა და მწვანე მასის ღირებულება.

ჩვენს დიდ სამშობლოში

ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტისაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით სთხოვს დაინტერესებულ ორგანიზაციებსა და ცალკეულ პირებს თავიანთი მოსაზრებანი ლენინური პრემიების მოსაპოვებლად წამოყენებული კანდიდატურების შესახებ, და მთელი კორესპონდენცია გამოგზავნონ მისამართით: **მოსკოვი** ი-51, ნეგლინაიას ქუჩა, სახლი 15. ტელეფონი ბ 8-44-67.

მეგობრობის მისიით

მოსკოვი, 23 მარტი. (საქინფორმი). დღეს კეთილი ნებისა და მეგობრობის მისიით მოსკოვიდან სომალის რესპუბლიკაში გაემგზავრა დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრის მ. ა. ლესეჩკოს მეთაურობით.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „საბჭოთა აჭარა“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გეგლიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 24 მარტი.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
გაზეთ „ბათუმსკი რაბოჩის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „ბათუმსკი რაბოჩის“ პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „ბათუმსკი რაბოჩი“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გეგლიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 24 მარტი.

სურათზე: საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების IV ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან): ა. ბულიაშვილი, გ. ახვლედიანი, ზ. აბრამიშვილი, ა. ბარამიძე და ნ. კეცხოველი.

ფოტო ვლ. ვიხმანისა.

სურათზე თქვენ ხედავთ მოწინავე მეფრინველე ციური გოგინაშვილს. მან 1959 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და გურჯაანის რაიონის ნანიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა. საშუალო განათლება დაეხმარა მას კარგი მაჩვენებლების მოპოვებაში. შარშან ათასი დედლიდან, რაც მას მოსავლელად ჰყავს, თვითეულზე საშუალოდ 80 ცალი კვერცხი მიიღო, გეგმა კი 70 ცალს ითვალისწინებდა. შვიდწლედის მესამე წელს თვითეულ დედალზე 85 კვერცხის მიღება იკისრა.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ცხოვრების გზა? არჩეულია!

სიტყვა საწარმოო სწავლების საამქროზე

◆

სამიოდე წელია, რაც ქუთაისში ავეჯის ფაბრიკა ამუშავდა. ახალგაზრდა საწარმოს ოქროს ფონდია მისი ახალგაზრდობა, რომელიც აქ სიმწიფის ატესტატით მოვიდა და რომელიც ახლა მთელი კოლექტივის 80 პროცენტს შეადგენს.

ფაბრიკა მხრებს შლის, იზრდება და ფართოვდება. წლის ბოლოს აქ საექსპლოატაციოდ გადასცემენ ახალ საწარმოო კორპუსებს. ავეჯის გამოშვება ორნახევარჯერ გადიდდება.

ვინ იმუშავებს ამ ახალ კორპუსებში? ეყოლებათ კი საკმაო მუშა-სპეციალისტები, ავეჯის წარმოების კარგი ოსტატები?

ვინც ფაბრიკის საწარმოო სწავლების საამქროს იცნობს, ვისაც აქ მომუშავე IX-X კლასების მოსწავლეებთან ჰქონია საუბარი, ასეთ კითხვებს არ დააყენებს.

სასწავლო საამქრო, შეიძლება ითქვას, პატარა ფაბრიკაა ამ დიდ ფაბრიკაში. მოსწავლეთა განკარგულებაშია 30 სადურგლო დაზგა, სარანდავი, საბურღი, სახეხი, მჭრელი იარაღების სალესი ჩარხები, მრგვალი ხერხი, კომბინირებული საავეჯო დაზგა, სპეციალური წნეხი და სხვა თანამედროვე ტექნიკა.

აქვე, ფაბრიკის მეორე სართულზე, სპეციალური დგამ-ავეჯით მოწყობილი და თვალსაჩინოებით დამშვენებული ორი ფართო, ნათელი ოთახია გამოყოფილი მოსწავლეთა თეორიული მეცადინეობისათვის ხის დამუშავების ტექნოლოგიასა და მანქანათმცოდნეობაში.

აქ საწარმოო სწავლებას გადიან ქუთაისის მე-2, მე-18 და მე-15 საშუალო სკოლების უფროსკლასელები. გადიან და მერე როგორ? შესანიშნავად, ჩინებულად.

აღნიშნული სკოლების დირექტორებს ვ. ხოტივარს, ნ. რეუნენკოვას, რ. მოწონელიძეს, საწარმოო სწავლების დარგში მათ მოადგილეებს შ. ბაზაძეს, ა. ანდრიაძეს, ნ. გოდოლაძეს, სასწავლო საამქროს უფროსს ა. ძნელაძეს, პრაქტიკულ და თეორიულ მეცადინეობათა ხელმძღვანელ ინსტრუქტორებს ვ. სებისკვერაძეს, მ. სვანიძეს, დ. ხაბურზანიას, შ. ბარბაქაძეს, მ. ჩერნეის, ნ. ყანჩაველს, რომლებიც ერთობლივად ილვწიან შრომისა და სწავლის უნარიანი შეხამებისათვის, ემაყებათ მოსწავლეთა სასარგებლო შრომის კარგი შედეგები.

დიახაც აქვთ საამაყო... მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ფაბრიკამ გამოუშვა ახალი პროდუქცია — კომბინირებული დივანსაწოლები და სავარძლები. ამ რბილი ავეჯის ნაწილი, უფრო ზუსტად, ორმოცი ცალი დივანი და ათი სავარძელი მზა პროდუქციის საწყობს ჩააბარა სასწავლო საამქრომ. მოსწავლეთა ხელებით შეიქმნა სხვა ფასეულობაც — რადიომიმღების მაგიდები, ტახტები, ტაბურეტები... ამიტომაც მიიღეს მეათეკლასელებმა თავიანთი შრომის საზღაური — პირველი ხელფასი.

მე-2 საშუალო სკოლის მეათეკლასელი ვალერი ფხაკაძე ერთნაირად ფლობს ხის ტექნოლოგიური დამუშავების ყველა ოპერაციას — გამოჭრას, დეტალების დამზადებას, გახეხვას, დაფანერებას, აწყობასა და გაკრიალებას. ამიტომაც ასე საგულდაგულოდ დაუმზადა მან სკოლას რადიომიმღების მაგიდის ლამაზი მოდელი, რომელიც მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენისათვის წარადგინა.

აბა ჰკითხეთ ვალერი ფხაკაძეს და მის თანაკლასელებს ელგუჯა მამაგეიშვილს, ვალერი შეყლაშვილს, მე-15 სკოლის მეათეკლასელებს ილია გიორგაძეს, ჯუმბერ შარვაშიძეს, გიორგი ხონელიძეს, გიორგი მარდალეიშვილს და სხვებს, არჩეული აქვთ თუ არა ცხოვრების გზა? ყველანი ერთნაირად, მტკიცედ გიპასუხებენ, — დიახ, არჩეული გვაქვს, სკოლის დამთავრების შემდეგ შორს როდი წავალთ, ვიმუშავებთ აქვე, ავეჯის ფაბრიკაში.

სწორი არჩევანია. ამ ჭაბუკებს აღარ შეიძლება საწარმოში ახალბედა უწოდონ, მათთვის არც ფაბრიკის ცხოვრება იქნება უცხო და არც დაზგა-დანადგარები.

მოსწავლეთა შრომით მომზადებაში სკოლები ქალის შრომის თავისებურებასაც ითვალისწინებენ. მაშინ როცა აღნიშნული სკოლების ჭაბუკები საწარმოო სწავლებას ავეჯის ფაბრიკაში გადიან, მოსწავლე გოგონები ასეთსავე სწავლებას გადიან მაუდისა და სამკერვალო ფაბრიკებში.

ქუთაისის სკოლები და საწარმოები დიდ მუშაობას ეწევიან საწარმოო სწავლების მოწყობისათვის, იმისათვის, რომ ერთობლივად, მიზანსწრაფულად განახორციელონ ცხოვრებასთან სწავლა-აღზრდის შეერთების დიდი ამოცანა.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ცოდნის, შრომის დიდი ასპარეზი

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია ჩვენი სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების დარგებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობა მოითხოვს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით აღჭურვილი, თავისი საქმის კარგად მცოდნე სპეციალისტთა მრავალრიცხოვან არმიას.

სწორედ ამას ემსახურება საბჭოთა საქართველოში ათეული წლების მანძილზე გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად არსებობს 18 უმაღლესი სასწავლებელი, რომელთა დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე 57.000-მდე სტუდენტი სწავლობს. შვიდწლედის მანძილზე ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ მოითხოვს უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი ახალგაზრდების მიღებას, რომლებსაც აქვთ წარმოებაში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში მუშაობის 2 და მეტი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, თავი გამოიჩინეს ენერგიული, პატიოსანი შრომით და აქვთ აკადემიური მომზადების მაღალი დონე. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა შერჩევა და მიღება წარმოებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახასიათების საფუძველზე.

არსებული წესების შესაბამისად უმაღლესი სასწავლებლების პირველ კურსებზე ჩარიცხულ სტუდენტთა 80 პროცენტს პრაქტიკული მუშაობის ორი წლისა და მეტი სტაჟი უნდა ჰქონდეს. უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვისას საწარმოო მუშაობის ორწლიანი სტაჟის მქონენი გარკვეული შეღავათებით სარგებლობენ, მაგრამ ამ შეღავათებს ზოგი ახალგაზრდა სწორად ვერ იყენებს, რადგან მისაღებ გამოცდებზე სრულიად მოუმზადებელი ცხადდება, არადამაკმაყოფილებელ ნიშნებს იღებს და ვერ ხვდება უმაღლეს სასწავლებელში. 1960 წელს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე დაშვებული იყო 2 წლისა და მეტი საწარმოო სტაჟის მქონე 1.535 კაცი, რომელთაგან ყველა სავალდებულო საგანში გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა მხოლოდ 483 კაცი. უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველმა ახალგაზრდამ მთელი სერიოზულობით უნდა იმუშაოს თავის თავზე, გაიღრმაოს საშუალო სკოლაში მიღებული ცოდნა, განსაკუთრებით ისეთ დისციპლინებში, რომელთა ჩაბარება სავალდებულოა მისაღებ გამოცდებზე, მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდოს მომავალი სპეციალობის განსაზღვრას.

ჩვენი ეპოქა ხასიათდება ტექნიკის ახალი დარგების სწრაფი განვითარებით. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში ინერგება ატომური ენერგია, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია, მექანიზაცია, ტელევიზია, კიბერნეტიკა, შედუღების საქმე, პროდუქციის წარმოების ახალი ტექნოლოგია, გამოთვლის მექანიზაცია და სხვ. მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი დარგების შესწავლა და გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ბუნებისმეტყველების სხვა დარგების საფუძვლების ღრმა ცოდნასთან. ახალგაზრდობის ერთი ნაწილი საშუალო სკოლაში სწავლისას, სამწუხაროდ, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სწორედ ამ დისციპლინების შესწავლას.

ეს ნათლად გამოვლინდა 1960 წელს უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელი გამოცდების დროს. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მათემატიკაში (წერა) გამოცდების შედეგად არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო აბიტურიენტთა 60 პროცენტმა. უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე 155 ადგილი იყო გამოყოფილი. აქ 197 შემსვლელიდან დადებითი შეფასება ყველა საგანში მიიღო მხოლოდ 110 კაცმა, ე. ი. გაცილებით ნაკლებმა, ვიდრე ვაკანტური ადგილები იყო. ამის შედეგად რექტორატის მიერ ამ ფაკულტეტზე ჩარიცხულ იქნენ აბიტურიენტები, რომლებიც გამოცდებს აბარებდნენ სხვა ფაკულტეტებზე, განსაკუთრებით ფიზიკის ფაკულტეტზე. ეს მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. მიმდინარე სასწავლო წლის ზამთრის საგამოცდო სესიების შედეგად უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტთა აკადემიური წარმატება სრულიად არადამაკმაყოფილებელია, აკადემიური ჩამორჩენილობის გამო ფიზიკის ფაკულტეტის 1-ლი კურსის 10 სტუდენტი გაირიცხა უნივერსიტეტიდან, ასევე გაირიცხა II კურსის 6 სტუდენტი, მაღალი კურსის 32 კაცი დატოვებულ იქნა იმავე კურსებზე. მათემატიკა-მექანიკის ფაკულტეტის პირველი კურსის 160 სტუდენტიდან 1-3 საგანში სუსტი შეფასება მიიღო 70 კაცმა, 1-ლ სემესტრში მიღებული ცუდი ნიშნების შედეგად მათემატიკის ფაკულტეტის 1-ლი კურსის 25 სტუდენტი უნივერსიტეტიდან გაირიცხა.

ყველაფერი ეს მოწმობს, თუ რაოდენ აუცილებელია რესპუბლიკის საშუალო სკოლებში მათემატიკის, ფიზიკისა და ბუნებისმეტყველების სხვა დისციპლინების სწავლების ხარისხის ამაღლება. ამ დიდი საკითხის გადაწყვეტაში გარკვეული როლი უნდა შეასრულონ უმაღლესი სასწავლებლების მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიისა და ბუნებისმეტყველების სხვა დარგების პროფესორ-მასწავლებლებმა, რომლებიც მჭიდროდ და მასობრივად უნდა დაუკავშირდნენ საშუალო სკოლებს, ჩაატარონ ახალგაზრდობაში ახსნა-განმარტებითი მუშაობა ამ დისციპლინების ცოდნის მნიშვნელობაზე მეცნიერების, სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, თავიანთ გარშემო შემოიკრიბონ მათემატიკური აზროვნების უნარით დაჯილდოებული ახალგაზრდები და დაეხმარონ მათ უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად მომზადების საქმეში.

ამ მხრივ წელს უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი ერთგვარ ღონისძიებებს ახორციელებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა მეტი მუშაობა უნდა გასწიონ იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც უკვე ჩაირიცხნენ. საჭიროა მათთვის დამატებითი ლექციების წაკითხვა, თანამიმდევრული დახმარების გაწევა.

იმისათვის, რომ უმაღლეს სასწავლებლებში საჭირო რაოდენობით მიღებულ იქნან საწარმოო სტაჟის მქონე მუშა და კოლმეურნე ახალგაზრდები, წელს ფართოდ გაიშლება უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მოსამზადებელი მუდმივმოქმედი კურსების ქსელი, რომლებიც სამეურნეო ანგარიშზე იმუშავებენ. წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების კომიტეტის სასწავლებლებთან შექმნილ ასეთ კურსებზე სწავლობს 2.500-მდე [illegible] ასეთი [illegible] საწარმოებთანაც, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი.

1960 წელს საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებში საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მიერ მოვლინებულთაგან მიღებულ იქნა მხოლოდ 164 კაცი. ზოგჯერ საწარმოთა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები სერიოზულად არ ეკიდებიან ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეს — უმაღლეს სასწავლებლებში გზავნიან აკადემიურად მოუმზადებელ ახალგაზრდებს.

დაუსწრებელი განყოფილებებისა და ფაკულტეტების მაღალი კურსების სტუდენტები, რომლებიც ჩაბმული არიან მრეწველობაში, მშენებლობაზე, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობაში, კოლმეურნეობასა და ვაჭრობის საწარმოებში, სარგებლობენ დაუსწრებელი ფაკულტეტებიდან დასწრებულ განყოფილებებზე ჩარიცხვის უფლებით. ამისათვის საჭიროა ამ ორგანიზაციებმა, სადაც დაუსწრებელი სწავლების სტუდენტები მუშაობენ, აღძრან შუამდგომლობა სათანადო ინსტიტუტის წინაშე. სტუდენტებს, რომლებიც სწავლების დაუსწრებლიდან დასწრებულ ფორმაზე გადავიდნენ, სტიპენდიას უნიშნავს ის ორგანიზაცია, რომელმაც მათ ინსტიტუტის წინაშე გაუწია შუამდგომლობა სწავლების ფორმის შეცვლის შესახებ. გასული და მიმდინარე სასწავლო წლის შედეგები მოწმობენ, რომ ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი მუშაკები ამ შეღავათს ჯეროვნად ვერ იყენებენ, შრომასა და სწავლაში დაწინაურებულთა წახალისების ამ მეთოდს ფართოდ არ ნერგავენ.

მალე ქართულ და რუსულ ენებზე საკმაო რაოდენობით გამოვა 1961 წელს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სტუდენტთა და მოსწავლეთა მიღების წესები და საგამოცდო პროგრამები. ყოველმა აბიტურიენტმა და მისმა მშობლებმა ეს დოკუმენტი გულისყურით უნდა შეისწავლონ. მრავალ საკითხთან ერთად მასში აღნიშნული იქნება, რომ აბიტურიენტმა სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს ცნობა წარმოებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და დაწესებულებაში მუშაობის სტაჟის შესახებ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხშირად მთელი სერიოზულობით არ ეკიდება ამ მნიშვნელოვან საქმეს, იძლევა შეუმოწმებელ, ზოგჯერ ყალბ ცნობასაც. მაგრამ, ხალხური თქმისა არ იყოს, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს — ყალბი საბუთის გამცემიც და მისი მფლობელიც მალე სააშკარაოზე გამოჰყავთ.

1960 წლის მეორე ნახევარში საწარმოო სტაჟის შესახებ ყალბი ცნობების წარმოდგენისათვის მარტო უნივერსიტეტის პირველი კურსებიდან გაირიცხნენ გ. მ. ტყეშელაშვილი, რ. ნ. ჩხელაშვილი (ქუთაისი), ჯ. გ. ქოქიაშვილი (თბილისი), ნ. დ. კოპალიანი (სოხუმის რაიონი), ბ. ო. შარიქაძე (ორჯონიკიძის რაიონი) და სხვ. ყალბი ცნობების წარმოდგენისათვის გაირიცხნენ აგრეთვე სტუდენტები ბათუმის, ქუთაისის და ზოგიერთი სხვა ინსტიტუტიდან.

უმაღლეს სასწავლებლებს მითითება მიეცათ ამთავითვე შექმნან მიმღები კომისიები, რომლებიც ქმედითს დახმარებას გაუწევენ აბიტურიენტებს, გააცნობენ გამოცდების პირობებს, შეამოწმებენ მათ მიერ შემოტანილი საბუთების სისწორეს, საგრძნობლად გააფართოებენ მოსამზადებელი კურსების ქსელს და ძირფესვიანად გააუმჯობესებენ მათ მუშაობას. უმაღლესმა სასწავლებლებმა დროულად უნდა შექმნან აგრეთვე საგამოცდო კომისიები, რომლებშიც შევლენ ნდობით აღჭურვილი და დიდი პედაგოგიური გამოცდილების მქონე პროფესორ-მასწავლებლები.

ჩვენმა საზოგადოებამ უნდა გამოამზეუროს საქმიანობა ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი პიროვნებისა, რომელიც აბიტურიენტს კერძოდ „ამზადებს" და ამისათვის ითხოვს დიდ თანხას. ასეთი „პედაგოგები", რა თქმა უნდა, ვერაფერს ასწავლიან. პირიქით, ყალბი იმედის წყალობით ახალგაზრდა ანებებს თავის თავზე მუშაობას და გამოცდაზე არადამაკმაყოფილებელ ნიშანს იღებს. ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ საჭიროა მთელი სიმკაცრით ბრძოლა.

საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, რკინიგზის ტრანსპორტისა და ვაჭრობის ორგანიზაციები, რომლებსაც უფლება აქვთ თავიანთი სტიპენდიით უმაღლეს სასწავლებელში მიავლინონ შრომაში სასახელო და სწავლაში სამაგალითო ახალგაზრდები, ახლავე უნდა შეუდგნენ სათანადო კანდიდატურების შერჩევას, ამ კანდიდატურების განხილვას საერთო კრებაზე. მათ დროულად უნდა უზრუნველყონ აბიტურიენტები მთელი საჭირო დოკუმენტაციით, რათა იგი ვადაზე იქნას ჩაბარებული უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში; მათ აგრეთვე უნდა შეარჩიონ და სათანადო დახასიათებები მისცენ იმ მუშებს, კოლმეურნეობის წევრებს და სხვა მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ საწარმოო მუშაობის ორი წლის და მეტი სტაჟი და სურთ განაგრძონ სწავლა უმაღლეს სასწავლებლებში.

ეჭვი არ არის, რომ უმაღლესი სკოლის მუშაკები რესპუბლიკის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების აქტიური დახმარებით წელს უზრუნველყოფენ უმაღლეს სასწავლებლებში ღირსეულთა მიღებას, კონტინგენტის შევსებას.

ნ. ჟახრაკია,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

რასაც დათესავ, იმას მოიმკი

დაუგვიანებელი გაზაფხული და დაგვიანებულნი

სითბომ საგრძნობლად იმატა, გაზაფხულის სუნთქვა შეიჭრა შორს კავკასიონის მთების სიღრმეში. რამდენიმე დღე, და მინდვრად აგუგუნდებიან ტრაქტორები, ამუშავდება სათესები.

წელს დიდი ამოცანები დგას სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობების წინაშე. მარცვლეული კულტურების სათესი ფართობი შარშანდელთან შედარებით 3.922 ჰექტარით გაიზრდება, სიმინდი 7.750 ჰექტარი დაითესება, თითქმის 1.500 ჰექტარით მეტი, ვიდრე 1960 წელს.

ახალ ამოცანებთან დაკავშირებით სამხრეთ ოსეთის მშრომელებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ არსებული რეზერვების სრულად გამოყენებით მიაღწევენ მარცვლეულის, ბაღ-ვენახების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრ აღმავლობას. კოლმეურნეობებში გამოიყო 1.000 ჰექტარი უხვმოსავლიანი სასიმინდე ფართობი, რომლის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერ სიმინდს მიიღებენ მარცვლად, უხვმოსავლიანი ნაკვეთები მოქცეულია სარწყავ ზონაში. ოლქის კოლმეურნეობებმა წელს სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 3 ათასი ტონა მარცვლეული, გასულ წელთან შედარებით გაიზრდება ხილის, ყურძნის, შაქრის ჭარხლის, მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა სახელმწიფოსათვის. გაშენდება ახალი ბაღები, ვენახები.

როგორ გაიშალა ბრძოლა ამ ვალდებულებათა განაღდებისათვის?

ხარისხოვანი თესლი უხვი მოსავლის საწინდარია. რაკი გაზაფხულის სამუშაოებისათვის მზადებაზეა ლაპარაკი, ბუნებრივია ჯერ თესლს გადავხედოთ. ქართული ანდაზაა, რასაც დათესავ, იმას მოიმკიო. დათვალიერებამ ცხადყო, რომ სიმინდის თესლი კოლმეურნეობებს საკმაო რაოდენობით აქვთ გამოყოფილი, მაგრამ თესლის თითქმის 20 პროცენტი უკონდიციოა. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ლენინგორის რაიონში, სადაც კოლმეურნეობებში სიმინდის თესლის ნახევარი უკონდიციოა.

ტრაქტორები ამ დღეებში მინდვრად გავლენ, ხოლო ბევრ კოლმეურნეობას თესლი როდი აქვს. დათვალიერების მონაწილეებს თესლის შესახებ ზნაურის რაიონის სოფელ წორბისის კოლმეურნეობაში ასე განუცხადეს:

— დრო დიდია, კიდევ მოვასწრებთ ყიდვას. სიმინდის თესლი გვჭირდება 52 ცენტნერი, გვაქვს 10 ცენტნერი, დანარჩენს ქართლის რომელიმე რაიონში ვიყიდით. გაზაფხულის ხორბალიც ძნელი საშოვნი როდია. 30 ცენტნერი გვაკლია და იმასაც მოვნახავთ. (!)

აი როგორ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საქმეს ზოგიერთ კოლმეურნეობაში. მაგრამ თუ ამ კოლმეურნეობაში ცოტაოდენი თესლი მაინცა აქვთ, ლენინგორის რაიონის სოფელ ალევის კოლმეურნეობაში თესლს სრულებით ვერ ნახავთ. აქ თავმჯდომარეები ხშირად იცვლებიან, მდგომარეობა კი უცვლელია. ლენინგორის რაიონის სოფელ ბალაანის (თავმჯდომარე ვ. გოჭაშვილი), ცხილონის (თავმჯდომარე მ. ქურთაევი), სალბიერის (თავმჯდომარე ვ. სოლაევი), კოლმეურნეობებს ხორბლის, ქერის, კარტოფილის თესლი აკლიათ და თუ მცირეოდენი მოეპოვებათ, ისიც უკონდიციოა. მარცვლეული კულტურების თესლი ჯავის რაიონის ბევრ კოლმეურნეობასაც აკლია.

მეთესლეობის ასეთი მდგომარეობა სამხრეთ ოსეთში საფრთხეს უქმნის თესვის დროულად ჩატარებას.

სტალინირის რაიონის სოფელ სარაბუკის კოლმეურნეობის კანტორის წინ ტალახში ჩაფლული ორი ტრაქტორი ვნახეთ. ჟანგმოკიდებულ ნაწილებს ადვილად ემჩნეოდა, რომ აქ ტრაქტორების რემონტზე არავინ ფიქრობს. ეს კოლმეურნეობა სულ ერთ კილომეტრზეა სარემონტო-ტექნიკური სადგურიდან. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ახლახან აირჩიეს ნ. ქელეხსაევი. ტრაქტორები შეკეთებული რომ არ არის, ამას ძველ თავმჯდომარეს აბრალებს, მაგრამ განა ეს შველის საქმეს? ვიდრე ახალი თავმჯდომარე ძველზე ლაპარაკობს და თავს იმშვიდებს, გაზაფხული კარს მოგვადგა, ტრაქტორები კი მზად არ არის. ამავე რაიონის სოფელ ორტევის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ჩოჩიევს ჯერაც არ უფიქრია ღია ცის ქვეშ დაგდებული ტრაქტორის რემონტზე. იქნებ ჩამოწერონ და ახალი ტრაქტორი მივიღოო, ფიქრობს ა. ჩოჩიევი.

ამ მხრივ კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა ჯავის რაიონში, სადაც კოლმეურნეობების ცხრა ტრაქტორიდან მხოლოდ ერთია შეკეთებული. სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველო ზერელედ ეკიდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განაწილებას. ჯავის რაიონში შემოიტანეს ოთხი ახალი „კდ-35" მარკის ტრაქტორი და აგერ მეორე წელია ისინი უმოქმედოდ დგანან. რატომ? იმიტომ, რომ რელიეფის ისეთ პირობებში, როგორიც ჯავაშია, ამ მარკის ტრაქტორები ვერ იმუშავებენ. ეს იცოდა ჯავის რაიონის ხელმძღვანელობამ, მაგრამ მათ შეძენაზე უარი არ უთქვამს. ტრაქტორების რემონტი შეუწყნარებელი ტემპით მიმდინარეობს ზნაურის რაიონშიც.



უფერულად გამოიყურება მისაბმელი ინვენტარის რემონტიც. გუთნების რემონტის გეგმა სამხრეთ ოსეთმა 10 მარტისათვის მხოლოდ 61 პროცენტით გაანაღდა, სათესებისა კი — 66 პროცენტით. უკანასკნელი ცნობებით სტალინირის რაიონში 22 სატრაქტორო გუთნიდან შეკეთებულია მხოლოდ 7, 18 სათესიდან — 5. ამ სათესებს შორის კვადრატულ-ბუდობრივად სათესებიც არის.

აჰყვები ლიახვის, ქსნის, ფრონის ხეობებს, და გულს ახარებს კარგად მოვლილი ბაღები და ვენახები. შემთხვევითი როდია, რომ სტალინირის რაიონი მეორე წელია ინარჩუნებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას მეხილეობის დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის. ახლაც სამხრეთ ოსეთის სოფლის მშრომელებს უხვად გაუტანიათ ნაკელი ბაღებსა და ვენახებში. ნახავთ გამრჯე ხელით გასხლულ ხეხილს, გასუფთავებულ და შეთეთრებულ შტამბებს, რიგთა შორის დამუშავებულ ნიადაგს. დაშორებულ ჯავაშიც კი ვაშლის თვითეულ ძირს გარშემოყრილი აქვს 250-300 კილოგრამი ნაკელი. თუ ბაღებსა და ვენახებში, რომელთა ფართობი სისტემატურად იზრდება, მუშაობა ასე გაგრძელდა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოსავლიანობის გეგმები ამ დარგში გადაჭარბებით იქნება განაღდებული.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით წველადობაზე. ოლქის კოლმეურნეობათა დიდმა უმრავლესობამ გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შეამცირა წველადობა. ამ მხრივ თავისებურ „რეკორდს" ამყარებს ჯავის რაიონი. რატომ ხდება ასე? იმიტომ რომ, ჯერ-ერთი, ბევრი ძროხა ბერწი დარჩა, მეორეც, ფერმებში იკლო კვების რაციონმა. მართალია ბევრ კოლმეურნეობაში გასული წლის შემოდგომაზე გაჰყვიროდნენ საკვები უხვად გვაქვსო, მაგრამ ის, რაც ქაღალდზე უჩვენეს, სინამდვილეში, სასილოსე ორმოებში არ აღმოჩნდა. პირუტყვის საძოვრად გასვლამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, ბევრი კოლმეურნეობა კი უკვე ქართლის რაიონებში დაეძებს საკვებს. რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები წველადობაში ჩამორჩენას კიდევ ერთი „ობიექტური" მიზეზით ხსნიან: გასულ წელთან შედარებით მეწველი ძროხები ნაკლებიაო. იმას კი არ უყურებენ, რომ თუ მიღებულ რძეს მხოლოდ მეწველ ძროხებზე გავყოფთ, მაშინაც კი წლევანდელი მაჩვენებელი გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით მკრთალად გამოიყურება. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საერთოდ წელს მიღებული რძე წინა წელთან შედარებით 329 ტონით ნაკლებია.

დათვალიერების მონაწილენი:

ა. ბოგიძე — სტალინირის რაიონის სოფელ ძარწემის კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ი. ბაბიევი** — აგრონომი; **დ. ქოზაევი** — საქართველოს კპ ჯავის რაიკომის ინსტრუქტორი; **ი. ნადირაძე** — გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" საკუთარი კორესპონდენტი; **შ. ჯიოევა** — სამხრეთ ოსეთის მეთესლეობის საკონტროლო ლაბორატორიის დირექტორი; **თ. ბაგაევი** — სოფლკორი; **ბ. ქელეხსაევი** — ზნაურის რაიონის სოფელ თილვის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი; **ს. ელოევი** — ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსნის კოლმეურნეობის მექანიზატორი; **ი. წახილოვი** — ლენინგორის რაიონის სოფელ იკოთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე; **დ. დურგლიშვილი** — ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის კოლმეურნეობის ბრიგადირი; **ზ. კოჩიევა** — ჯავის რაიონის სოფელ ტონტობეთის კოლმეურნეობის მწველავი; **გ. ბესაევი** — გაზეთ „ზარია ვოსტოკას" საკუთარი კორესპონდენტი; **ი. თედიაშვილი** — გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი, სულ 120 კაცი.

პარტიის მხარდამხარ

საბჭოთა აჭარა

БАТУМСКИЙ РАБОЧИЙ

გაზეთების ფურცლებზე

◆

აჭარის ასს რესპუბლიკაში ორმოცი წელია რაც გამოდის გაზეთები — „საბჭოთა აჭარა" და „ბატუმსკი რაბოჩი" — საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და საქალაქო კომიტეტების, აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

დღეს აღინიშნება ამ გაზეთების ღირსშესანიშნავი თარიღი — პირველი ნომრის გამოსვლის მეორმოცე წლისთავი.

ეს თარიღი დაემთხვა მეტად დიდმნიშვნელოვან მომენტს საბჭოთა ხალხის შრომასა და ცხოვრებაში, როცა საბჭოთა ადამიანები ყოველდღიურად მამაცურად მუშაობენ და იბრძვიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

როგორ მონაწილეობენ ამ დიდ ღონისძიებათა შესრულებისათვის ბრძოლაში იუბილარი გაზეთები?

1961 წლის პირველი იანვრიდან დღემდე ამ გაზეთებში გამოქვეყნებული წერილები გვარწმუნებს, რომ სარედაქციო კოლეგიები, გაზეთების კოლექტივები თანამიმდევრულად მუშაობდნენ აქტივთან, მუშსოფლკორებთან. განსაკუთრებით იგრძნობა გაზეთების მაორგანიზებელი როლი სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ. **„მთელი ძალები სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას!"** — ასეთი რუბრიკა გაჩნდა გაზეთ „საბჭოთა აჭარისა" და „ბატუმსკი რაბოჩის" ფურცლებზე. იანვრის პლენუმის შედეგების გამოქვეყნებისთანავე.

ამ განყოფილებაში ორივე გაზეთი ბეჭდავს როგორც ნარკვევებს და რეპორტაჟებს, ისე აქტივის — განსაკუთრებით იმ ადამიანების წერილებს, რომლებიც თვითონ ქმნიან მატერიალურ დოვლათს. მარტო ამ წერილების თუნდაც სათაურები — „ავამოქმედოთ ყველა რეზერვი", „კომბინირებული საკვები ადიდებს წველადობას", „დრო არ ითმენს", „ვალდებულება განვამტკიცოთ შრომით" („საბჭოთა აჭარა"), „გავუსწორდეთ შუქურას — კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერს", „პარტიის მოწოდებით ახალი მწვერვალებისაკენ", „შრომა ბედნიერებაა", „მეგობრობა ყველა სიმდიდრეზე ძვირფასია" („ბატუმსკი რაბოჩი") ნათლად მეტყველებენ, რომ გაზეთების მიერ საკითხები სწორად არის გააზრებული და დაყენებული.

„რას ვაპირებთ, რას ვაკეთებთ?" ასეთი საერთო სათაურით იხსნება გაზეთ „საბჭოთა აჭარის" 15 მარტის ნომრის მესამე გვერდი. აქ რამდენიმე კოლმეურნის წერილია იმის შესახებ, თუ როგორ შეუდგნენ ისინი აღებულ ვალდებულებათა განაღდებისათვის ბრძოლას. ამ წერილებში სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები მოგვითხრობენ, თუ პრაქტიკულად რა კეთდება ახლა აჭარის ასსრ სოფლებში უხვი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად.

ამავე ნომერში გაზეთი ბეჭდავს რეიდის მასალას სათაურით „დრო არ ითმენს, გასაკეთებელი ბევრია".

„სოფელ გვარას ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის კანტორის ეზოში, — წერენ რეიდის მონაწილენი, — „დტ-54" მარკის ტრაქტორი უმოქმედოდ იდგა, მაშინ როცა კოლმეურნეობას 36 ჰექტარი აქვს მოსახნავი, შარშან ამ კოლმეურნეობაში თვითეულ ჰექტარზე მხოლოდ 14,8 ცენტნერი სიმინდი მიიღეს. ეს იმიტომ, რომ ყანები ცუდად გათოხნეს, სასუქი არ შეიტანეს. სამწუხაროდ, წელსაც აგვიანებენ ორგანული სასუქის მინდვრად გატანას".

გაზეთ „საბჭოთა აჭარას" დიდი ხანია აქვს შემოღებული განყოფილება **„მუშკორთა საბჭო"**. ამას წინათ ამ განყოფილებაში გამოქვეყნდა მამხილებელი წერილი სათაურით „დავიწყებული ბრძანება და დაკარგული მილიონები". ამ წერილმა აქტივის ფართო გამოხმაურება გამოიწვია.

გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის" პირველი მარტის ნომერში მეორე გვერდი დათმობილი აქვს „აგიტატორის ფურცელს". გვერდი იხსნება მასწავლებელ ლილი სამსონიძის სურათით, რომელიც გატაცებით კითხულობს ჟურნალს. სურათის წარწერა ასე იწყება:

„შენ ჩვეულებრივი შრომითი დღე გაქვს, ამხანაგო აგიტატორო! შენს ხელში იბადებიან რთული მანქანების ახალი დეტალები, შენს ხელში იზრდებიან ახალი სახლების კედლები. ...სადაც უნდა იყო, ყველგან აღფრთოვანებული ხარ შენი სამუშაოთი, შენი ხალხის შემოქმედებითი შრომით. გადიხარ ხალხში, მიგაქვს ლენინური სიმართლე, რათა შენს გვერდით მდგომმაც გაიგოს შრომის სიდიადე, მთელი ჩვენი ქვეყნის მძლავრი მაჯისცემა".

გაზეთები „საბჭოთა აჭარა" და „ბატუმსკი რაბოჩი" დიდ ადგილს უთმობენ ხალხთა მეგობრობის საკითხების გაშუქებას. ისინი ცდილობენ არ გამორჩეთ არცერთი აქტუალური საკითხი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ფრონტზე.

ამავე დროს უნდა ვურჩიოთ ორივე გაზეთს მეტი ადგილი დაუთმონ პარტიული ცხოვრების აქტუალური საკითხების, პარტიულ ორგანიზაციებში იდეოლოგიური მუშაობის გაშუქებას. უფრო გაბედულად ჩააბან საგაზეთო მუშაობაში პარტიული აქტივი — რიგითი კომუნისტები, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, გაზეთები კიდევ უფრო მიმზიდველი იქნება, თუ მეტი ყურადღება მიექცევა კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ნარკვევების, რეპორტაჟების, ფელეტონების, ცოცხალი, საინტერესო ინფორმაციების გამოქვეყნებას.

ეჭვი არ არის, კარგი ტრადიციების მქონე გაზეთები — „საბჭოთა აჭარა" და „ბატუმსკი რაბოჩი" მომავალშიც ძირს არ დახრიან საბრძოლო დროშას და თავიანთი არსებობის ორმოცდამეერთე წელს დაიწყებენ კიდევ უფრო წარმატებით.

ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში მოწყობილია ქალაქის სკოლების უფროსკლასელთა საწარმოო სწავლების საამქრო.

165 უფროსკლასელთან მეცადინეობას ატარებს საწარმოო სწავლების სამი ოსტატი, თეორიაში კი — ოთხი პედაგოგი. მეცადინეობის პროცესში საწარმოო სწავლების საამქრო ქარხნის სამმართველოდან დაშვებული გეგმის თანახმად უშვებს სხვადასხვა ნაკეთობას.

• • •

სურათზე: ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო სწავლების საამქროს ოსტატი ს. ხვედელიძე მეცადინეობას ატარებს მეცხრე საშუალო სკოლის მოსწავლეებთან.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა
(საქდესის ფოტოქრონიკა).

საერთაშორისო ცხოვრება

17 წლის შემდეგ

ორი ქვეყანა, ორი ოჯახი

ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში, მოზელის დეპარტამენტში არის პატარა ქალაქი ალგრანჟი.

მსოფლიო ომის წლებში აქ იყო ჰიტლერელთა საკონცენტრაციო ბანაკი „ლედიგენსჰაიმი“. 1944 წელს ამ ბანაკში ჩასვეს საბჭოთა ოჯახი, რომელიც ფაშისტურ მონობაში გარეკეს, — ევგენია და სერგი ნიკიტინები, მათი ერთი წლის გოგონა საშა. ისევე როგორც ჰიტლერელთა სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში, „ლედიგენსჰაიმშიც“ კატასტროფული სიკვდილიანობა იყო, განსაკუთრებით ბავშვებში. მოკვდა პატარა საშაც. განწირული იყო ნიკიტინების მეორე გოგონა ალა, რომელიც უკვე ბანაკში დაიბადა. მაგრამ ერთხელ ბანაკში გავრცელდა ხმა, ბავშვი გადაარჩინესო. ერთ-ერთმა ადგილობრივმა ოჯახმა, რომელსაც ალა გადასცეს ბანაკის ღობეზე, წაიყვანა იგი.

საფრანგეთის განთავისუფლების შემდეგ ამ ოჯახმა გადარჩენილი გოგონა დაუბრუნა მშობლებს, რომლებიც შემდეგ სამშობლოში დაბრუნდნენ.

...მას შემდეგ 17 წელი გავიდა. როგორ იპოვნონ ფრანგი ოჯახი, რომელმაც ეს კეთილშობილური საქმე ჩაიდინა? ნიკიტინებმა, რომლებიც ფრანგულ ენას ვერ ფლობენ, ცოტა რამ იცოდნენ ამ ოჯახისა. მათ მხოლოდ სამუდამოდ დაიხსომეს ოჯახის მეთაურის სახელი — ნიკოლა. ახსოვთ, რომ ნიკოლას ჰყავდა ორი ვაჟი — როჟე და მარსელი.

ამჟამად ნოვოსიბირსკში მცხოვრებ ნიკიტინთა თხოვნით, საქდესის პარიზის განყოფილებამ მიმართა საზოგადოებრიობასა და ხელისუფლებს, დაგვეხმარეთ ამ ოჯახის ძებნაშიო. ფრანგები, რომლებმაც თვითონ გადაიტანეს ომი და ჰიტლერელთა ოკუპაცია, მხურვალედ გამოეხმაურნენ ამ თხოვნას. გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს მოწოდება ძებნაში დახმარებისა და ყოველივე იმის შეტყობინების შესახებ, რაც გააადვილებდა ამ ძებნას. მოწოდება რადიოთიც გადაიცა. და აი ალგრანჟის მერიაში მივიდნენ ნიკოლა ოფმანი და მისი მეუღლე ლუიზა, რომლებმაც უეჭველ სიკვდილს გადაარჩინეს ალა.

...საქდესის კორესპონდენტი წავიდა ალგრანჟში და ესაუბრა ნიკოლა ოფმანს, მის ცოლსა და ამ ერთსულოვანი ოჯახის ყველა წევრს.

ფრანგი პატრიოტები, რომლებმაც რუსი გოგონა გადაარჩინეს, დიდად ღელავდნენ. ისინი კვლავ და კვლავ კითხულობდნენ დეპეშას, რომელიც ის-ის იყო საბჭოთა კავშირიდან მიიღეს ალა ნიკიტინასაგან. მათ თვალები სიხარულის ცრემლებით ჰქონდათ სავსე.

ნიკოლა ოფმანი მოგვითხრობს:

— მე იმავე ქარხანაში ვმუშაობდი, სადაც საკონცენტრაციო ბანაკის ტყვე რუსები. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ისინი და ჰიტლერელთა რეპრესია ვერც კი გვაშინებდა, ვეხმარებოდით მათ რითაც შეგვეძლო.

ნიკოლა იმ ქარხნის დარაჯი იყო, რომელიც ვანდელებს ეკუთვნოდათ. მას დავალებული ჰქონდა პატიმრები წაეყვანა საკონცენტრაციო ბანაკიდან სამუშაოზე.

— პატიმართა ბედი საშინელი იყო, — ამბობს ოფმანი. ჩემი ცოლი პურის ტალონებსა და ფულს აგროვებდა, რათა პური ეყიდა მათთვის. ჩვენ ჩუმად ვმოქმედებდით და ვუგზავნიდით მათ საჭმელსა და პაპიროსს. საბჭოთა არმიის ტყვე ჯარისკაცებს კიდევ უფრო ცუდად ეპყრობოდნენ, ვიდრე მუშებს. მათ აიძულებდნენ ბანაკს იქით დაემარხათ თავიანთი მომაკვდავი ამხანაგები, რომლებიც ჯერ კიდევ სუნთქავდნენ, ფეხით ეტკეპნათ საფლავები, რათა კარგად მოესწორებინათ მიწა. ტყის პირას ქარხნის ბრძმედების ახლოს, რომელშიც იმ დროს იარაღს აწარმოებდნენ ჰიტლერის ვერმახტისათვის, ბევრია საბჭოთა ადამიანის საფლავი.

— როცა შევიტყეთ, რომ ალას დაღუპვა მოელოდა, გადავწყვიტეთ ჩვენსა დაგვემალა იგი, — ამბობს ნიკოლა.

— არც მე, არც ჩემს ქმარს, — ამბობს ლუიზა ოფმანი, — არ შეგვეძლო მივსულიყავით ბანაკში ისე, რომ არ შევემჩნიეთ. ეს მივანდეთ ჩემს ძმას ეჟენს, რომელიც მაშინ რვა წლისა იყო.

ზამთრის ბინდში ბიჭი მიუახლოვდა საკონცენტრაციო ბანაკის ღობეს, ავიდა ნაგვის გროვაზე, რათა მისწვდომოდა მავთულღობურას. ამ ღობურაზე ევგენია ნიკიტინამ, რომელსაც წინასწარ შევუთანხმდით ყველაფრის შესახებ, გადასცა ეჟენს ჩვრებში გახვეული თავისი პაწაწა.

— ჩვენ თვითონ ძალიან გვეშინოდა, ამბობს ოფმანი, — ჩემ ცოლს მაშინ ერთი თვის წინათ ეყოლა მეორე ვაჟი მარსელი და რძეს „შავ ბაზარში“ ვყიდულობდით. ყოველთვის იმის შიშში ვიყავით, რომ გერმანელები შეიტყობდნენ, თუ სად იყო დამალული გოგონა. ერთხელ სს-ელები თავს დაგვესხნენ, გაგვჩხრიკეს, მაგრამ ჩვენ ძლივასწარით და სარდაფში დავმალეთ ალა. როცა გერმანიის ჯარებმა უკანდახევა დაიწყეს, ევგენია ნიკიტინა და მისი ქმარი, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკიდან განთავისუფლდნენ, მოვიდნენ ჩვენთან და დავუბრუნეთ ბავშვი, რომელსაც უკვე ძალიან შევეჩვიეთ.

— დიახ, ჩვენ იგი ღვიძლ შვილსავით შეგვიყვარდა, და ყოველთვის ვეუბნებოდით ჩვენს შვილებს, თქვენ გყავთ და შორეულ რუსეთშიო, — დასძინა ლუიზა ოფმანმა.

ფრანგი პატრიოტების ოჯახი გვთხოვს გულითადი სალამი გადავცეთ მათ შორეულ რუს მეგობრებს.

— მეგობრობამ საზღვარი არ იცის, — ამბობს ნიკოლა, იმან, კი რაც თქვენ და ჩვენ განვიცადეთ ომის მძიმე წლებში, მხოლოდ განამტკიცა მეგობრობა.

საფრანგეთის გაზეთები, იუწყებიან რა, რომ ალა ნიკიტინამ იპოვნა თავისი მხსნელები, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ დიდად ამაღელვებელმა ეპიზოდმა ახალი ძალით ცხადყო, თუ რა მტკიცე კავშირი ყოფილა საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის.

...ნიკიტინების ოჯახი ნოვოსიბირსკში ცხოვრობს კომკავშირის 40 წლისთავის სახელობის ქუჩაზე № 85 სახლში. სახლი „ობის ზღვის“ — ნოვოსიბირსკის ჰიდროელექტროსადგურის ხელოვნური წყალსაცავის ზედ ნაპირზე დგას.

ალა ნიკიტინა ამ ცოტა ხნის წინათ გახდა 17 წლისა. იგი ამთავრებს საშუალო სკოლას და წელს მიიღებს სიმწიფის ატესტატს. ქალიშვილმა პარალელურად დაამთავრა შვიდწლიანი მუსიკალური სკოლის ფორტეპიანოს კლასი. იგი გატაცებულია სათხილამურო სპორტით.

საშუალო ტანის, წაბლისფერთმიანი ქალიშვილი, რომელიც უფრო ბავშვს ჰგავს, გამხდარი და მეოცნებე ალა ახლა იმაზე ფიქრობს, რაზეც ყველა უკანასკნელი კლასის მოსწავლე — ირჩევს მომავალ პროფესიას. მისი ოცნების დიაპაზონი ფართოა — უნივერსიტეტიდან, რომელიც ამას წინათ გაიხსნა ნოვოსიბირსკში, მუსიკალურ სასწავლებლამდე: მეცნიერის კარიერიდან მსახიობობამდე.

ალა სამაგალითო შვილია, ეხმარება დედას ორი უმცროსი დის — ათი წლის თამარისა და ოთხი წლის ირინეს აღზრდაში.

სამშობლოში დაბრუნებული ს. ნიკიტინი ჯერ არმიაში მსახურობდა. დემობილიზაციის შემდეგ გაემგზავრა შუა აზიაში ერთ-ერთი ჰიდროსადგურის აგებაზე სამუშაოდ, მერე კი ოჯახითურთ გადავიდა ნოვოსიბირსკის ჰიდროსადგურის მშენებლობაზე. მან ნორმადარის თანამდებობით დაიწყო და მალე გახდა სამუშაოთა მწარმოებელი, შემდეგ უფროსი ინჟინერი და ახლა შრომისა და ხელფასის განყოფილებას განაგებს. ე. ნიკიტინამ, სპეციალობით ლაბორანტმა, იკისრა სამი ქალიშვილის აღზრდა და მეოჯახეობა.

როცა საქდესის კორესპონდენტმა შეატყობინა ნიკიტინებს, რომ ალას მხსნელი ფრანგები იპოვნესო, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ალას თხოვნაა გადასცენ ოფმანებს მისი დიდი მადლობა. მას შეუერთდნენ დედა და მამა.

მე ძალიან მინდა რაც შეიძლება მეტი რამ შევიტყო ოფმანების ოჯახზე, როჟესა და ჩემს თანატოლ მარსელზე, თავდადებულ ეჟენზე, — ამბობს ალა.

ს. ნიკიტინმა იმედი გამოთქვა, რომ ახლა, როცა ორივე ოჯახმა — საბჭოთა და ფრანგმა ოჯახებმა — იპოვნეს ერთიმეორე, მათ შორის უაღრესად გულითადი ურთიერთობა განახლდება.

— ჩვენს ოჯახებს, — თქვა მან, — ისევე როგორც დედამიწის ყველა პატიოსან ადამიანს, ერთი საერთო მიზანი აქვს — მშვიდობა, ბრძოლა ომის წინააღმდეგ, მწუხარების წინააღმდეგ, რომელიც ომს მოაქვს, ბრძოლა ჩვენი ბედნიერებისათვის, ჩვენი შვილების ბედნიერებისათვის.

გ. დრაგუნოვი,
დ. იოხიმოვიჩი.

პარიზი-ნოვოსიბირსკი.

ალა ნიკიტინა (მარცხნივ) დედასთან, მამასა და დებთან ირინესა და თამართან (მარჯვნივ) ერთად.
ფოტო დ. იოხიმოვიჩისა.

ამერიკაში მზადდება „მშვიდობის მარში“

ნიუ-იორკი, 23 მარტი. (საქდესი). ნიუ-ჯერსის შტატის გუბერნატორმა რობერტ მეინერმა და სენატორმა ჰარისონ უილიამსმა (დემოკრატი, ნიუ-ჯერსის შტატი) მოიწონეს „მშვიდობის მარშის“ მოწყობა, რომელიც დაიწყება ამ კვირის დამლევს.

როგორც მოელიან, მარშში მონაწილეობას მიიღებს ათასობით ადამიანი. მარშის მონაწილენი 25 მარტს წავლენ ნიუ-ჯერსის მაკჰირის სამხედრო-საჰაერო ბაზიდან და გაივლიან 109 მილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინამდე ნიუ-იორკში, სადაც 1 აპრილს მოეწყობა მასობრივი დემონსტრაცია.

მარშში მონაწილეობას მიიღებენ გონივრული ატომური პოლიტიკისათვის ბრძოლის ეროვნული კომიტეტის მომხრეები, ზოგიერთი პროფკავშირის წევრები, სტუდენტთა და რელიგიურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სენატორმა უილიამსმა წერილში, რომელიც მიწერა გონივრული ატომური პოლიტიკისათვის ბრძოლის ეროვნული კომიტეტის ნიუ-ჯერსის შტატის განყოფილებას, განაცხადა: „მე მგონია, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ მათ ხმას ყური დაუგდონ. იმედი მაქვს, რომ ყველა ამერიკელი მიაქცევს ყურადღებას ამ „მშვიდობის მარშის“ მნიშვნელობას.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 23 მარტი. (საქდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრი მაკმილანი კვლავ ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ხელი შეუშალოს სამხრეთ აფრიკის კავშირის ოფიციალურ გასვლას ერთა თანამეგობრობიდან. გამოვიდა რა გუშინ საღამოს თემთა პალატაში, მან განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს შეიტანოს კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავს „გარკვეულ პერიოდში“ შეინარჩუნოს არსებული იურიდიული მდგომარეობა, მას შემდეგ, რაც სამხრეთ აფრიკის კავშირი გავა ერთა თანამეგობრობიდან 31 მაისს. მაკმილანმა ეს განზრახვა დაასაბუთა იმით, რომ საჭიროა ყურადღებით განიხილონ სამხრეთ აფრიკის კავშირის მცხოვრებთა მოქალაქეობის საკითხი.

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა აგრეთვე განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის გასვლა ერთა თანამეგობრობიდან არავითარ გავლენას არ მოახდენს სავაჭრო პრეფერენციათა სისტემაზე.

ოპოზიციის სახელით გამოვიდა ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჰეიტსკელი. მან გააკრიტიკა აპარტეიდის პოლიტიკა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობა ახორციელებს.

ერთა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი დ. სენდისი იძულებული იყო თავის გამოსვლაში მხედველობაში მიეღო ფართო საზოგადოებრივი აზრის უკმაყოფილება სამხრეთ აფრიკის კავშირის რასისტული პოლიტიკის გამო. სენდისმა დაგმო აპარტეიდის პოლიტიკა. სამხრეთ აფრიკის კავშირში, თქვა მან, დისკრიმინაცია და სეგრეგაცია აღიარებული იყო „შთამაგონებელი იდეალის“ პრინციპად.

სენდისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის პრემიერ-მინისტრი ფერვურდი შეგნებულად ცდილობს იმოქმედოს მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ და ესწრაფვის უკუღმა დაატრიალოს ისტორიის ჩარხი.

კამათი დამთავრდა რაიმე გადაწყვეტილების მიუღებლად.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია

დელი, 24 მარტი. (საქდესი). დღეს დელის მეცნიერების სასახლეში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობს მშვიდობისათვის 300-მდე გამოჩენილი მებრძოლი — აზიის, აფრიკის, ევროპისა და ამერიკის 60-ზე მეტი სახელმწიფოს წარმომადგენლები. სესიაზე ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაცია, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე მწერალი ნ. ს. ტიხონოვი მეთაურობს.

სესიის დელეგატებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარემ, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა პანდიტ სუნდერლალმა.

მოხსენება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის შესახებ გააკეთა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა — ამსრულებელმა პროფესორმა ჯონ ბერნალმა.

წიგნმა ვერ მიაღწია ადრესატამდე...

„ლვოვი — 13. ენგელსის 35, ბინა 8, მწერალ ვლადიმერ ბელიაევს“... ამ მისამართით დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან ლია ბანდეროლი წიგნითურთ „მხილება“, რომელიც გაიგზავნა ლვოვიდან 1961 წლის 27 იანვარს. ამ წიგნის თავფურცელზე იყო ავტორის მოკლე წარწერა:

„პატივცემულ ალბერტ კანს, რომელიც ოკეანეს გაღმა ამხილებს მშვიდობის მტრებს. გითვლით სალამს. ვლადიმერ ბელიაევი“.

მთელი ბანდეროლი აჭრელებულია ამერიკის საბაჟოების შტემპელებით. ნიუ-იორკის ფოსტის შტამპი ცხადყოფს, რომ ეს პატარა ამანათი იქ მივიდა 1961 წლის 21 თებერვალს. ვიღაცას ადრესატის გვარი წაუშლია, იქვე დაუსვამს შტამპი, რომელიც მეტყველებს, რომ ამანათი უკან უნდა დაბრუნებულიყო.

რამ აიძულა ნიუ-იორკის საბაჟოს მუშაკები მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება?

მიზეზი ადვილად გასაგებია. ვლადიმერ ბელიაევის წიგნი „მხილება“ — ეს არის კრებული დოკუმენტური მასალებისა ავადსახსენებელი ბატალიონის „ნაჰტიგალის“ („ბულბულის“) იმ ფაშისტი არამზადებისა და მათი იდეური ხელმძღვანელის თეოდორ ობერლენდერის ბოროტმოქმედების შესახებ, რომლებიც ლვოვში შეიჭრნენ ომის პირველ დღეებში. მკითხველებს თვალწინ წარმოუდგებათ თეოდორ ობერლენდერისა და მისი ხელქვეითების მთელი საზიზღარი სახე. სწორედ მათ მოსპეს მხეცურად ცნობილი ლვოველი მეცნიერები — მსოფლიოს ბევრი აკადემიის საპატიო წევრი, მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი კ. ბარტელი, ნავთობის ცნობილი სპეციალისტი, პროფესორი ს. პილატი, აკადემიკოსი ა. ტემინსკი, ლიტერატურის პროფესორი ტ. ბოი-ჟელენსკი და ბევრი სხვა. ამ „ბულბულებმა“ მოაწყვეს ლვოვის განაპირა რაიონში ბანაკი, სადაც „სასიკვდილოდ განწირულთა ორკესტრის“ ხმაზე სპობდნენ ათასობით საბჭოთა ადამიანს.

ბონის მინისტრმა შტრაუსმა ამას წინათ აღიარა, რომ იმ დროს იგი ლვოვში იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი არ ყოფილა მშვიდობიანი მაყურებელი, შტრაუსმა ბევრი რამ არ თქვა ბოლომდე, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ მისი ხელები გასვრილია საბჭოთა ადამიანების სისხლით. ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტებისათვის, როგორც ჩანს, ხელსაყრელი არ არის, რომ ამერიკის საზოგადოებრიობას გაეგო თუ ნამდვილად რას წარმოადგენენ ობერლენდერი და მისი თანამოღვაწე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელი მინისტრი შტრაუსი, ვისაც ისინი ასე წყალობენ. აი რატომ არ ჩააბარეს ადრესატს მონოპოლისტთა ლაქიებმა ლვოვის მწერლის ვლადიმერ ბელიაევის წიგნი, რომელიც მან გაუგზავნა ამერიკელ კოლეგას ალბერტ კანს. რატომ უნდა გამოაშკარავდეს ის, რასაც ასე მონდომებით უმალავენ საზოგადოებრიობას. ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ვლადიმერ ბელიაევმა განაცხადა:

— მე გულწრფელად გაოცებული ვარ ასეთი „დემოკრატიული“ წესით, რომელიც ამერიკაში არსებობს.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ სიტყვების ავტორს.

ს. დრანოვი.

ლვოვი, 22 მარტი.

ლაოსის ამბები

ჰანოი, 23 მარტი. (საქდესი). გუშინ მთავრობის ჯარებმა პატეტ-ლაოს შეიარაღებულ რაზმებთან ურთიერთმოქმედებით გაათავისუფლეს ქალაქი კამ-კეტი (ცენტრალური ლაოსი). რადიო ლაოსის ხმა იუწყება, რომ ქალაქის მცხოვრებნი გულთბილად მიესალმნენ განმათავისუფლებლებს.

სიენგ-კუანგის სამხრეთით მოკავშირეთა ჯარების დიდმა ძალებმა ალყა შემოარტყეს ტა-ტომს — მეამბოხეთა უკანასკნელ დასაყრდენ პუნქტს ამ პროვინციაში.

მოკავშირეთა ჯარების მხარეზე სრული აღჭურვილობით გადავიდა მეამბოხეთა ათობით ჯარისკაცი, აგრეთვე ბევრი შეიარაღებული ადამიანი მეოს ტომიდან.

ჰანოი, 23 მარტი. (საქდესი). სეატოს მონაწილე ქვეყნების აშკარა სამხედრო აგრესიის საფრთხის გამო, რომელიც ლაოსს ემუქრება, ნეო ლაო ხაკ სატის პარტიის თავმჯდომარემ პრინცმა სუფანუვონგმა რადიოთი განაცხადა, რომ ლაოსის ხალხი ერთსულოვნად აღსდგება თავისი სამშობლოს დასაცავად და ჩაშლის ინტერვენტთა მთელ აგრესიულ ზრახვებს.

თუ ამერიკელი იმპერიალისტები და მათი მოკავშირეები მოახდენენ აგრესიას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, თქვა მან, ჩვენ სამხედრო დახმარებას ვთხოვთ მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანას.

დელი, 23 მარტი. (საქდესი). ლაოსის პრემიერ-მინისტრი სუვანა ფუმა გუშინ შეხვდა ინდოეთის მთავრობის მეთაურს ჯავაჰარლალ ნერუს. შეხვედრის დროს სახელმწიფო მოღვაწეებმა განიხილეს ლაოსის მდგომარეობა.

მოგვიანებით სუვანა ფუმა კარაჩში გაფრინდა. აეროდრომზე ლაოსის კანონიერი მთავრობის მეთაურმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მასა და ნერუს აქვთ ერთიანი აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა განახლდეს ლაოსის სამეთვალყურეო და საკონტროლო კომისიის საქმიანობა.

პიერ მულელე: ჰამარშელდი ავანტიურისტია

კენედი შეშფოთებულია ამერიკის ეკონომიკის ბედით

ჰამარშელდის სახიფათო თანამშრომლობა

კაირო, 23 მარტი, (საქდესი). „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ჰამარშელდი თანამშრომლობდა იმპერიალისტ ავანტიურისტებთან კონგოში, ამიტომ იგი თვითონ ავანტიურისტია“, — განაცხადა გუშინ კონგოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის დიპლომატიური მისიის მეთაურმა კაიროში პიერ მულელემ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც აქ გაიმართა.

პიერ მულელემ პრეს-კონფერენციაზე განმარტა, თუ რა პოზიცია უკავია კონგოს სტენლივილის კანონიერ მთავრობას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე კონგოს პრობლემის დაწყებულ განხილვასთან დაკავშირებით.

ჰამარშელდი, თქვა პიერ მულელემ, არსებითად, თანამშრომლობდა მოღალატე მობუტუსთან, ჩომბესთან, ილეოსა და კალონჯისთან, უგულებელყოფდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებებსა და რეზოლუციებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, განაგრძო მულელემ, უნდა ცნოს კონგოს ის მთავრობა, რომელიც კანონიერად შექმნა პარლამენტმა და რომელმაც ხალხის ნდობა მოიპოვა. ეს მთავრობაა მთავრობა, რომელსაც ანტუან გიზენგა მეთაურობს.

კორესპონდენტების თხოვნაზე, გაეკეთებინა კომენტარი კონგოს პრობლემის მოწესრიგების წინადადებებისათვის, რომლებსაც შეიცავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-15 სესიაზე, პიერ მულელემ განაცხადა: ეს წინადადებანი, განსაკუთრებით წინადადებანი, რომლებიც ეხება ბელგიის ჯარებისა და მთელი ბელგიელი პერსონალის დაუყოვნებლივ გაყვანას და კონგოელი ხალხისათვის იმის შესაძლებლობის მიცემას, რომ თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი, სავსებით შეესაბამებიან კონგოელი ხალხის მისწრაფებას და ამიტომ არ შეიძლება მათ მხარი არ დაუჭირონ.

კონგოს პარლამენტის წევრთა უმეტესობა მობუტუს, ჩომბეს და სხვა მოღალატეების საპყრობილეთა ჯურღმულებში რომ არ იყოს, განაცხადა პიერ მულელემ, კანონიერი მთავრობა, რომელსაც ანტუან გიზენგა მეთაურობს, შეძლებდა დაუყოვნებლივ მოეწვია პარლამენტის სხდომა, რათა მიეღო კანონიერი გადაწყვეტილება კონგოში კანონისა და წესრიგის აღდგენის შესახებ.

პრეს-კონფერენციის დასასრულს პიერ მულელემ განაცხადა, რომ კონგოს სტენლივილის კანონიერი მთავრობა ცნეს 22 ქვეყნის მთავრობებმა.

იმპერიალისტური ხრიკები კუბის წინააღმდეგ

მეხიკო, 23 მარტი, (საქდესი). სალვადორის უნივერსიტეტების სტუდენტთა საყოველთაო ასოციაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ამხილებს სალვადორის ახლანდელი სამოქალაქო სამხედრო ხუნტის ხრიკებს, რომლებიც მიმართულია კუბის რევოლუციის წინააღმდეგ.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ამას წინათ სალვადორის საიდუმლო პოლიციის აგენტები კუბის ყოფილი დიქტატორის ბატისტას მომხრეთა თანხმლებით თავს დაესხნენ კუბის საქმეთა რწმუნებულს სალვადორში რობერტო ლასალიეს მის ბინაზე. კუბელი დიპლომატი და მისი მეუღლე შებოჭეს და სცემეს. პოლიციის აგენტებმა დიპლომატის სახლიდან წამოიღეს ყველა ოფიციალური ბლანკი, ალბათ, იმისათვის, რომ გამოიყენონ ეს ბლანკები ყალბი საბუთების გასაკეთებლად ფიდელ კასტროს მთავრობის საზიანოდ. რამდენიმე დღის წინათ ხუნტამ ჟურნალისტებს გადასცა წერილებისა და ჩეკების პირები, რომელთა საშუალებით იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ხუნტის წინააღმდეგ არსებობს შეთქმულება.

ასოციაცია აღნიშნავს, რომ მთელი ეს ხრიკები არის „კუბელი ხალხის საწინააღმდეგო იმპერიალისტური აგრესიის ნაწილი“.

გარდაიცვალა ჰენრიხ რაუ

ბერლინი, 23 მარტი. (საქდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, დღეს გარდაიცვალა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო და გერმანიის შინავაჭრობის მინისტრი ჰენრიხ რაუ.

ვაშინგტონი ცდილობს გადაარჩინოს ბუნ უმის მეამბოხეთა ბანდები

დახმარება თუ ბიზნესი?

კენედის წერილი „უცხო სახელმწიფოებისათვის დახმარების“ საკითხზე

ვაშინგტონი, 23 მარტი. (საქდესი). პრეზიდენტმა კენედიმ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს გაუგზავნა წერილი „უცხო სახელმწიფოებისათვის დახმარების“ საკითხზე. წერილში აღიარებულია, რომ „უცხო სახელმწიფოებისათვის დახმარების არსებული პროგრამები და კონცეფციები ძირითადად არადამაკმაყოფილებელია და არ შეესაბამება ჩვენს საჭიროებებსა და სუსტად განვითარებული სამყაროს საჭიროებებს 60-იანი წლების დასაწყისში“.

წერილში ხაზგასმულია, რომ „დახმარების“ გაწევა უშუალოდ დაკავშირებულია ამერიკის შეერთებული შტატების „ეროვნულ უშიშროებასთან“ და „შედარებით კეთილდღეობასთან“ და წარმოადგენს „ამერიკის პასუხს მსოფლიოში არსებულ მრავალფეროვან გამოწვევაზე“.

კენედი მოითხოვს „გადამწყვეტი მობრუნება“ მოხდეს სუსტად განვითარებული სამყაროსათვის ამერიკის დახმარების“ გაწევაში.

ამ მიზნით იგი მოითხოვს გაერთიანდეს და მოხდეს ამერიკის ყველა იმ ორგანიზაციის ცენტრალიზაცია, რომლებიც „დახმარებას“ აძლევენ სხვა ქვეყნებს როგორც თვით ვაშინგტონში, ისე მიმღებ ქვეყნებში, და შეიქმნას ერთიანი ადმინისტრაცია. ამ გეგმის თანახმად, მთელი „დახმარების“ საერთო ხელმძღვანელობას ვაშინგტონში განახორციელებს ერთიანი სააგენტოს ადმინისტრატორი, რომელიც პასუხს აგებს უშუალოდ სახელმწიფო მდივნისა და პრეზიდენტის წინაშე.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კონგრესს სთხოვს ასიგნებებს საზღვარგარეთისათვის დახმარების გასაწევად 4 მილიარდი დოლარის ოდენობით წელიწადში, აქედან სამხედრო დახმარების ხარჯები შეადგენენ 1.600 მილიონ დოლარს, ხოლო ეკონომიური დახმარების ხარჯები — 2.400 მილიონ დოლარს.

„გულახდილად ვაცხადებ, — თქვა კენედიმ სამხედრო დახმარების ხარჯების შესახებ, — რომ ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად ვთქვათ, შეესაბამება თუ არა ეს თანხა სამხედრო დახმარების მინიმალურ დონეს, რომელიც შეიძლება მოითხოვოს წელს უშიშროების ჩვენმა ძირითადმა პოლიტიკამ. ახალი კრიზისების ან ახალი კონფლიქტების დაწყებამ შეიძლება მოგვთხოვოს კიდევ მეტი ღონისძიებანი“.

როგორც წერილიდან ჩანს, ამერიკის „დახმარება“ სხვა ქვეყნებისადმი უანგარო როდია. იგი მიაჩნიათ ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის დასტიმულების ერთ-ერთ საშუალებად. თავის წერილში კენედი აცხადებს:

„მივიღე რა გადაწყვეტილება ამ პროგრამის შესახებ, გავითვალისწინე გავლენა, რომელიც შეიძლება მოახდინოს ამან ჩვენ საგადამხდელო ბალანსზე. განვითარების მიზნით როგორც სესხის, ისე უნაცვალგებო სუბსიდიების მიცემის ჩვენს პროგრამებში ახლა მაქსიმალური ყურადღება ექცევა ამერიკული წარმოშობის საქონლის შესყიდვას და მომსახურების უზრუნველყოფას.

როგორც ჩემს წერილში აღვნიშნე საგადამხდელო ბალანსის შესახებ, ამჟამად არსებულ პროცედურებში ჩვენს საგადამხდელო ბალანსზე გავლენას მოახდენს უცხო სახელმწიფოებისათვის ეკონომიური დახმარების მთელი ხარჯების არა უმეტეს 20 პროცენტისა. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიური დახმარებისათვის გამოთხოვილი 2.400 მილიონი დოლარის დაახლოებით 2 მილიარდი დოლარი დაიხარჯება უშუალოდ იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებიც ხელს უწყობენ ამერიკის ეკონომიკის განვითარებას.

ახლა გამოყენებულია ჩვენი სამრეწველო სიმძლავრის 80 პროცენტზე ნაკლები, და ჩვენი სამუშაო ძალის თითქმის 7 პროცენტს უმუშევრები შეადგენენ, ასეთ ვითარებაში უცხოეთის სახელმწიფოებისათვის დახმარების პროგრამის შემცირება არა მარტო შეაჩერებს ეკონომიურ პროგრესს და საზღვარგარეთ დაკარგავს იმედს, არამედ დაკარგავს ბაზრებსა და ჩვენი ქვეყნის მეწარმეთა, მუშათა და სოფლის მეურნეობის შემოსავალს“.

გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საქდესი). გუშინ ნაშუადღევს გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარული სხდომა, რომელიც განიხილავდა გენერალური კომიტეტის მოხსენებას XV სესიის მეორე ნაწილის მუშაობისა და დღის წესრიგში დამატებითი საკითხების შეტანის შესახებ. ასამბლეამ ერთხმად მოიწონა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ სესია დაიხუროს 21 აპრილს.

გენერალური ასამბლეა შემდეგ შეუდგა სესიის დღის წესრიგში ანგოლის მდგომარეობის საკითხის შეტანის შესახებ კომიტეტის რეკომენდაციის განხილვას. ეს საკითხი შეიტანეს აფრიკისა და აზიის 40 სახელმწიფოს დელეგაციებმა. ამის წინააღმდეგ წავიდა პორტუგალიის წარმომადგენელი. მან ცილი დასწამა აფრიკის დამოუკიდებელ ქვეყნებს და ცდილობდა დაებრალებინა მათთვის პორტუგალიის საშინაო საქმეებში ჩარევა.

ლიბერიის დელეგატმა კუპერმა საკადრისი პასუხი გასცა წინა ორატორს.

ლიბერიის დელეგატის წინადადებით მოეწყო სახელობითი ხმის მიცემა, რომლის დროსაც 79 დელეგაციამ მხარი დაუჭირა წინადადებას „ანგოლის მდგომარეობის“ საკითხის განხილვის შესახებ. ესპანეთმა და სამხრეთ აფრიკის კავშირმა წინააღმდეგ მისცეს ხმა, ხოლო 8 დელეგაციამ, მათ შორის კოლონიურმა სახელმწიფოებმა ინგლისმა, ბელგიამ, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ, აგრეთვე ავსტრალიამ, ლუქსემბურგმა, დომინიკის რესპუბლიკისა და პანამის დელეგაციებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს. დანარჩენი დელეგაციები არ ესწრებოდნენ. ასამბლეამ გადაწყვიტა თავის პლენარულ სხდომებზე განიხილოს ეს საკითხი.

ტელეგრაფი გვატყობინებს

ბრაზილიის იუსტიციის მინისტრის განცხადება

ჰავანა, 28 მარტი. (საქდესი). ბრაზილიის იუსტიციის მინისტრმა ოსკარ პედროზო ხორტამ, გამოვიდა რა ტელევიზიით, განაცხადა, რომ „პრეზიდენტი ჟანიო კუადროსი მალე განაახლებს დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან“.

როგორც პრენსა ლატინას სააგენტო იუწყება, ხორტამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ნაბიჯი „მოწმობს ბრაზილიის სუვერენული ნების გამოვლინებას საგარეო პოლიტიკის საკითხებში“.

ვერაგული განზრახვა

ვაშინგტონი, 28 მარტი. (საქდესი). გუშინ ნაშუადღევს გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წამყვანი სენატორებისა და წარმომადგენელთა პალატის წევრების საიდუმლო თათბირი. ამ თათბირზე, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით ერთ საათს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელმა ალენ დალესმა კონგრესის ლიდერებს გააცნეს ლაოსში შექმნილი სიტუაცია.

თათბირის მსვლელობაში განიხილეს საკითხი ბუნ უმის მეამბოხეთა ბანდებისადმი ამერიკული სამხედრო დახმარების გაძლიერების შესახებ. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, იმოწმებს რა თათბირის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელმაც არ დართო ნება მისი სახელი გამოექვეყნებინათ პრესაში. თათბირის ამ მონაწილემ განაცხადა აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ გადადგან ნაბიჯი, რათა გააძლიერონ ასეთი მხარდაჭერა ბუნ უმისადმი.



შავკანიან კონგოელ ჯარისკაცებს ამერიკული ნიმუშის მიხედვით წვრთნიან სამოქალაქო ომისათვის კონგოში — ასეთი წარწერა აქვს ფოტოსურათს, რომელიც დასავლეთგერმანულ ჟურნალ „დერ შტერნში“ დაიბეჭდა.

რეპრესიები, ტერორი, ხალხის ზურგს უკან მოწყობილი ისეთი დანაშაულებრივი გამთიშველი პოლიტიკური მაქინაციები, როგორიც იყო მარიონეტების მორიგება ტანანარივეში, ვერ შეაჩერებს კონგოს ხალხის ბრძოლას თავისი სამშობლოს ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სწორედ ამიტომ ჩომბეს, კასავუბუს, კალონჯის ტიპის ადგილობრივი მარიონეტები იმპერიალისტი ბატონების ჩაგონებითა და დახმარებით საჩქაროდ ქმნიან დაქირავებულ არმიას ხალხის დასათრგუნავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტი

შაბათი,
25 მარტი

ამბები, ცნობები, ფაქტები

ეს მოსკოველებმა პირველად მოისმინეს...

მოსკოვი, 23 მარტი, (საქდესი). საქართველოს მუსიკალური კულტურის განვითარების შესანიშნავი წარმატებების დადასტურება იყო ქართული მუსიკის დიდი კონცერტი, რომელიც დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა.

მოსკოველებმა პირველად მოისმინეს ა. ბალანჩივაძის ფანტაზია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, ქორალი და ფუგა შ. მშველიძის სიმფონიური სუიტადან, ბ. კვერნაძის ცეკვა — ფანტაზია, ო. თაქთაქიშვილისა და ა. მაჭავარიანის ახალი ნაწარმოებები.

მუსიკის მოყვარულებმა მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების ვ. ფალიაშვილისა და ზ. ხუროძის ოსტატობას, რომლებიც დირიჟორობდნენ სრულიად საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდ სიმფონიურ ორკესტრს.

გულთბილად შეხვდნენ მსმენელები სოლისტებს მ. ამირანაშვილს, ა. მურადოვას, ნ. ტულუშს, პიანისტ ჯ. ბალანჩივაძეს.

კონცერტი ტრანსლირებული იყო რადიოთი.

ქართული ლიტერატურის რჩეული ფურცლები

სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობამ საბჭოთა საქართველოს მე-40 წლისთავის აღსანიშნავად სომხურ ენაზე გამოუშვა დიდი კრებული „ქართული ლიტერატურის რჩეული ფურცლები“.

კრებულს წამძღვარებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. ბარამიძისა და ლიტერატურათმცოდნის შ. აფხაიძის წინასიტყვაობა.

წიგნი შედგება სამი დიდი განყოფილებისაგან: „ძველი პერიოდის ლიტერატურა“, „ახალი პერიოდის ლიტერატურა“ და „საბჭოთა ლიტერატურა“.

პირველ განყოფილებაში დაბეჭდილია იაკობ ცურტაველის, გიორგი მერჩულეს, იოანე შავთელის, ჩახრუხაძის ნაწარმოებები, ნაწყვეტები შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნიდან“, იოსებ თბილელის „დიდმოურავიანიდან“, სულხან-საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკის ნაწარმოებები. აქვეა ათი ქართული სიმღერა დიდი სომეხი პოეტის საიათ-ნოვასი, რომელიც, როგორც ცნობილია, წერდა ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზეც.

მეორე განყოფილებაში შედის ა. ჭავჭავაძის, გ. ორბელიანის, ნ. ბარათაშვილის, ვ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, რ. ერისთავის, ი. დავითაშვილის, ა. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილის და სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებები.

მესამე, ყველაზე დიდ განყოფილებაში წარმოდგენილია შემოქმედება საბჭოთა საქართველოს პოეტების და პროზაიკოსებისა — მ. ჯავახიშვილის, შ. დადიანის, კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, გ. ტაბიძის, ს. შანშიაშვილის, ი. გრიშაშვილის, ვ. გაფრინდაშვილის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, ა. მირცხულავას, კ. ლორთქიფანიძის, კ. კალაძის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, ი. ნონეშვილის და სხვ.

კრებულს დართული აქვს ყველა იმ მწერლის მოკლე ბიოგრაფია, რომელთა ნაწარმოებები მოთავსებულია კრებულში.

ნაწარმოებთა თარგმნაში ჩაბმული იყო ბევრი თანამედროვე სომეხი მწერალი, მათ შორის ს. ზორიანი, ნ. ზარიანი, გ. მაარი, ვ. ნორენცი, ა. სირასი, ო. შირაზი, ა. სალიანი, ს. ტარონცი, რ. პოღოსიანი, ს. კაპუტიკიანი, გ. ემინი, პ. სევაკი, ვ. დავთიანი, გ. ბორიანი, ხ. დაშთენცი და ბევრი სხვა.

კრებული შეადგინა ტ. კარაპეტიანმა, სარედაქციო კოლეგიაში შედიან მ. ზავარიანი, ვ. ნორენცი, ს. ფაიაზატი, მხატვარი — კ. ტირატურიანი.

წიგნი შეიცავს 40-ზე მეტ ნაბეჭდ ფურცელს.

ვოკალისტთა მსოფლიო კონკურსის მონაწილენი თბილისში გამოდიან

მიმდინარე წლის ზაფხულში სოფიაში გაიმართება ახალგაზრდა ვოკალისტთა მსოფლიო კონკურსი. კონკურსის მონაწილენი საბჭოთა კავშირიდან სამ ტურს გადიან მოსკოვში. ჩვენი რესპუბლიკიდან კონკურსში გამოდიან ტ. მალიშევა და მ. ამირანაშვილი.

მესამე ტურზე დაშვებულნი კონკურსის პირობების თანახმად უნდა გამოვიდნენ სსრ კავშირის დიდი თეატრის სპექტაკლში. ტატიანა მალიშევამ დიდი წარმატებით იმღერა ამ დღეებში ამნერისის პარტია ვერდის ოპერა „აიდაში“.

ამჟამად სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ მესამე ტურში მომღერალთა მოსასმენად გამოჰყო ოპერისა და ბალეტის კიდევ ორი თეატრი: კიევის ტ. შევჩენკოს სახელობისა და თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობისა.

ჩვენს თეატრში 2 აპრილს დაიდგმება შ. გუნოს ოპერა „ფაუსტი“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სამი კონკურსანტი: მედეა ამირანაშვილი (მარგარიტა), სტალინგრადელი ტენორი ვიქტორ ტერეხოვი (ფაუსტი) და სვერდლოვსკელი მომღერალი იგორ ნოვოლოჟნიკოვი (მეფისტოფელი). ახალგაზრდა მომღერალთა მოსასმენად მოსკოვიდან ჩამოდის სპეციალური კომისია.

სურათზე: სოხუმის მასწავლებელთა სახლთან არსებული მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივის სოლისტი მ. ბერაია.
ფოტო ბ. დადვაძისა.

მეორედ დაბადება

ჩვენს წინაშე დევს ფოტოსურათი, რომელზეც აღბეჭდილია ცირკის ცხოვრების ერთი ფურცელი. გუმბათქვეშ წრიულად მოძრავ ჰურზე ფეხებით ჩამოკიდებულა გიმნასტი. მას კბილებში უჭირავს ლითონის დიდი რკალი, რომელზეც ტანით წონასწორობას იცავს მოხდენილად გამართული მოვარჯიშე გოგონა.

სურათს ასეთი წარწერა აქვს: „ჩვენს მეგობარს გრიგოლ იობის-ძეს ირინა და პეტრე შჩეტინინებისაგან“.

რაზე მეტყველებენ ეს სიტყვები? ვის ეკუთვნიან ისინი? ან და რა არის აქ საყურადღებო? ერთი შეხედვით, მართლაც არაფერი. მაგრამ ირინასათვის ეს სიტყვები ბევრის მთქმელია. ის ხომ, მაშინ თვრამეტი წლის გოგონა, უცხო ადამიანებმა გამოსტაცეს სიკვდილს და ახალი სიცოცხლე აჩუქეს.

მაგრამ მოდით ნუ ავჩქარდებით, მივყვეთ ამბავს თავიდან.

...ეს მოხდა 1957 წელს თბილისში საცირკო სპექტაკლის დროს, გამოდიოდნენ ლენინგრადელი საჰაერო გიმნასტები მამა-შვილი შჩეტინინები. პეტრე შჩეტინინი თავდაყირა დაეკიდა გუმბათქვეშ მოძრავ ჰურზე, კბილებში აიღო ლითონის დიდი რკალი, ირინა რკალზე კეფით დაეკიდა...

გიმნასტ გოგონას მამაცობით აღტაცებული მაყურებელი რას იფიქრებდა, რომ მალე შემზარავი სურათის მოწმე გახდებოდა.

უცებ ირინამ იგრძნო, რომ კისერსა და რკალს შუა ჩაჰყვა ტანსაცმლის არშია. წამიც, და დარბაზში გაისმა შემზარავი ხმა... ირინა დიდი სიმაღლიდან დაენარცხა არენას... თავზარდაცემული მამა გაშეშდა მაღლა. ასევე გახევდნენ თბილისელი მაყურებლები, რომლებიც იმ საღამოს ცირკში იყვნენ...

„...ირინა თაბაშირის მუზარადშია ჩაჭედილი. მას განძრევა არ შეუძლია, მაგრამ დიდია სიცოცხლის წყურვილი ამ სათუთ, ნაზ სხეულში.

— მდგომარეობა კატასტროფული იყო, — გვიყვება ცირკის დირექტორი გრიგოლ ვენაძე. გოგონა ყოველ წუთს შეიძლებოდა ხელიდან გამოგვცლოდა. და აი ასეთ დროს, შეიძლება ითქვას, „სასწაული“ მოახდინეს ჩვენმა ექიმებმა: პროფესორმა დ. იოსელიანმა, ექიმმა გ. კუზანოვმა და სხვებმა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს და სიცოცხლე აჩუქეს ამ შესანიშნავ რუს გოგონას.

და განა მარტო ექიმებმა?

„თქვენ მეორე მამა ხართ, ჩემო, — წერს გ. ვენაძეს ირინა შჩეტინინა, — მხოლოდ თქვენი და იმ შესანიშნავი ქართველი ადამიანების წყალობით შევინარჩუნე სიცოცხლე“.



ოთხი თვის მკურნალობის შემდეგ გოგონა გაეწერა საავადმყოფოდან, ყავარჯნებით შევიდა იგი პროფესორთან გამოსათხოვებლად და ჰკითხა, კიდევ შევძლებ თუ არა ცირკში გუმბათქვეშ მუშაობასო. „არც იფიქროთ“, უპასუხა პროფესორმა გუმბათის გაგონებაზე.

ირინა თავის სამშობლოში — სარატოვშია. იგი ჯერ კიდევ თბილისის საავადმყოფოში, ლოგინიდან წამოდგა თუ არა, ექიმებისაგან ფარულად ვარჯიშობდა, აქ, სარატოვში, მან სიარული დაიწყო ორთოპედიულ ინსტიტუტში, სადაც დაბეჯითებით ავარჯიშებდა კუნთებს. მაგრამ საბოლოო გაჯანსაღებისათვის საჭირო იყო წყალტუბო, და კვლავ თბილისის ცირკის კოლექტივის დახმარებით ირინამ რამდენიმე თვე კურორტზე დაისვენა.

დადგა ნანატრი დრო—დაბრუნებოდა საყვარელ საქმეს. მალე მას უკვე ხედავენ ცირკში. კვლავ ჩაიცვა ქალიშვილმა საჰაერო გიმნასტის კოსტიუმი და მფრინავი ჰურვით, რომელიც თანამგზავრის მოდელს წარმოადგენს, ადის ცირკის გუმბათქვეშ და იქ ასრულებს მეტად რთულ ილეთებს.

— ირინა შჩეტინინა, — გვაცნობეს ლენინგრადიდან — ახლახან დაბრუნდა თავის საზღვარგარეთული ტურნედან, სადაც იგი წარმატებით გამოდიოდა.

ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც გრიგოლ ვენაძემ ეს სურათი გადმოგვცა და დაუმატა: სიამოვნებით მინდა გაცნობოთ, რომ თბილისელი მაყურებელი მალე იხილავს ირინა შჩეტინინას ჩვენი ცირკის არენაზე.

ოთ. არობელიძე.

* * *

სურათზე. ცირკში დაბრუნებული ირინა და პეტრე შჩეტინინები მუშაობის დროს.

ტიტანთა ბრძოლა

პირველი ყაიმი

მოსკოვი. 23 მარტი. როგორც ვიუწყებოდით, მატჩ-რევანშის მეოთხე პარტია გადადებული იყო მ. ბოტვინიკის თვალსაჩინო მატერიალური უპირატესობით, მაგრამ მისი რეალიზაცია აღარ შეიძლებოდა მეფის ცუდი პოზიციის გამო. ამიტომ ექს-ჩემპიონმა ბრძოლის განუახლებლად მიიღო მ. ტალის საზავო წინადადება და ფიქსირებულ იქნა ყაიმი. ანგარიში გახდა 2,5:1,5 მ. ბოტვინიკის სასარგებლოდ.

ბოტვინიკს ზედმეტი პაიკი აქვს

მოსკოვი. 24 მარტი. (ტელეფონით). მაშ ასე, ბოტვინიკი მესამეჯერ თამაშობს თეთრებით, ტალი მესამედ ირჩევს რაგოზინის დაცვას. ყველა ჟურნალისტი ამ დებიუტს რატომღაც ნიმცოვიჩის დაცვას უწოდებს. ეს შემთხვევით მოხდა, ერთი შეცდა, ხოლო დანარჩენებმა მას მიბაძეს. სინამდვილეში სამივე პარტიაში შექმნილი პოზიციები დამახასიათებელია იმ ორიგინალური სადებიუტო სისტემისათვის, რომელიც საბჭოთა გროსმაისტერმა ვ. რაგოზინმა დაამუშავა მოსკოვის საერთაშორისო ტურნირებში 1935-36 წ.წ.

რით აიხსნება მეტოქეთა ასეთი დიდი მიდრეკილება რაგოზინის დაცვისადმი? ბოტვინიკის განწყობილება გასაგებია. მან მოიგო პირველი პარტია, მოიგო მესამეც და „თანახმა“ ეს შედეგი ხშირად გაიმეოროს. მაგრამ რით შეიძლება აიხსნას ტალის საქციელი — პრინციპულობით თუ ახალგაზრდული სიჯიუტით? მსოფლიო ჩემპიონი გამოცდილი მებრძოლია. მან ამ დებიუტში მოამზადა ახალი უძლიერესი გაგრძელება, მაგრამ ბოტვინიკი ატყუებს მას და უხვევს გატკეპნილი გზებიდან. ყოველთვის ისეთი პოზიცია იქმნება, რომელსაც ბოტვინიკი ჩინებულად იცნობს, ტალი კი პირველად ხედავს. ამით ბოტვინიკი ორ რამეს აღწევს. იგი არა მარტო პოზიციურ უპირატესობას იღებს, არამედ დროსაც იგებს.

მეხუთე პარტიაში 14 სვლის მოსაფიქრებლად ბოტვინიკმა დახარჯა 15 წუთი, ტალმა კი — 1 საათი და 15 წუთი. როგორც ჩანს, ექს-ჩემპიონი შეშფოთებულია იმით, რომ მეოთხე პარტიაში მას ტალმა აჯობა ტაქტიკურ ბრძოლაში, ამიტომ იგი ამჟამად გაურბოდა რთულ თამაშს. ასეთმა ტაქტიკამ „გააღარიბა“ ექს-ჩემპიონის თამაში მეხუთე პარტიაში. მისი უპირატესობა შემცირდა, თუმცა სავსებით არ გამქრალა. პარტიის გადადებამდე რამდენიმე სვლით ადრე ბოტვინიკმა მოიგო პაიკი, მაგრამ მისი რეალიზაცია დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული შავი ფიგურების აქტიური განლაგების გამო.

„საიდუმლოდ“ შეგატყობინებთ, რომ ტალი თავის შანსებს ყაიმზე რეალურად თვლის. საყურადღებოა, რომ ჯერჯერობით არც ერთი პარტია არ დამთავრებულა ბრძოლის პირველ დღეს. ეს კი „დამატებით სამუშაოს“ უჩენს მონაწილეებს და უკიდურესად ამწვავებს ბრძოლას.

აი გადადებული პოზიცია:

მ. ტალი



მ. ბოტვინიკი

თეთრები: მფe2, ეa2, ეd2, მc2, პპ: a4, b5, e3, f2, g2, h3;

შავები: მფf7, ეc3, ეc4, მe5, პპ: a5, b6, f6, g7, h7.

ტალმა ჩაიწერა თავის 41-ე სვლა. ხვალ მოეწყობა გადადებული პარტიის დამთავრება.

ლ. აბრამოვი,
ოსტატი.

„იღბლიანი“ ბილეთები

ამ დღეებში გურჯაანში შედგა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1961 წლის პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი. დიდ მოგებათა ნომრები ჩვენმა გაზეთმა უკვე გამოაქვეყნა. ქვემოთ მოგვყავს კიდევ რამდენიმე „იღბლიანი“ ბილეთის სერიები და ნომრები.

პიანინო ხვდა: 60121 სერიის 140 ნომერს, 60456 სერიის 150 ნომერს, 60901 სერიის 066 ნომერს, 61372 სერიის 114 ნომერს, 62035 სერიის 166 ნომერს, 62812 სერიის 129 ნომერს, 62871 სერიის 056 ნომერს, 63044 სერიის 128 ნომერს, 63878 სერიის 143 ნომერს, 63928 სერიის 084 ნომერს, 64054 სერიის 162 ნომერს, 65050 სერიის 153 ნომერს, 66258 სერიის 195 ნომერს, 68282 სერიის 036 ნომერს, 68847 სერიის 080 ნომერს.

საკერავი მანქანა ხვდა: 60205 სერიის 030 ნომერს, 60214 სერიის 225 ნომერს, 64751 სერიის 083 ნომერს, 64769 სერიის 092 ნომერს.

ტელევიზორი „რეკორდი“: 61398 სერიის 141 ნომერს, 61421 სერიის 030 ნომერს, 65154 სერიის 124 ნომერს, 65168 სერიის 248 ნომერს.

მაცივრები: 60006 სერიის 061 ნომერს, 60140 სერიის 143 ნომერს, 60492 სერიის 090 ნომერს, 60660 სერიის 045 ნომერს, 60774 სერიის 081 ნომერს, 61052 სერიის 047 ნომერს, 61709 სერიის 101 ნომერს.

ქალის ოქროს საათი ხვდა: 63585 სერიის 218 ნომერს, 66653 სერიის 087 ნომერს.

ხუთასი მანეთი ხვდა 68274 სერიის 028 ნომერს.

„რაინდები“ და საბრალო შველი

საგურამოელმა დიმიტრი უნდილაშვილმა მიმდინარე წლის 18 თებერვალს უკანასკნელი და გადამწყვეტი თათბირი გამართა თავის თანასოფლელ ახალგაზრდებთან: ჯუმბერ გზირიშვილთან, ვანო მოძღვრიშვილთან და ერთ ახალგაზრდასთან, რომლის ვინაობა ჩვენთვის დღესაც უცნობია.

— ბიჭებო, თქვენი იმედი მაქვს, კარგი ვაზნები გააკეთეთ, რომ შველი პირველი გასროლისთანავე დაეცეს, იცოდეთ, რომ დაჭრილი შველის დევნა კარგს არაფერს მოგვიტანს, ხომ იცით, სად მივდივართ?..

— საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალში, — გაბზარული ხმით უპასუხა დიმიტრის ჯუმბერ გზირიშვილმა, რომელსაც ასეთი დაუპატიჟებელი სტუმრობისათვის გამოცდილი ჰქონდა მასპინძელთა არასასიამოვნო დახვედრა.

მეორე ღამით ეს „რაინდების“ ჯგუფი ოთხი მდევარი ძაღლით ფარულად ესტუმრა საგურამოს სახელმწიფო ნაკრძალს. ჯერ კიდევ ბნელოდა, თოფის სამიზნისა და მიზნის დანახვა ძნელი იყო, მათ დრო არ დაუკარგავთ, წილი ჰყარეს, შველისათვის ვის უნდა ესროლა და ძაღლებს ვინ უნდა გაჰყოლოდა სარეკში. ამასობაში გათენდა კიდეც და ყველანი დანაწილდნენ მათთვის უკვე ცნობილ სანადირო ადგილებში.

დიმიტრი უნდილაშვილმა ძაღლებს მიუალერსა და საყელურები შეხსნა, თვითონ კი დანიშნულ ადგილს მიაშურა. არ გასულა ნახევარი საათი, რომ ძაღლმა მიაყეფა, მას აჰყვნენ სხვებიც, და ნაკრძალის ფრთოსანთა სასიამოვნო სტვენასა და ჟღურტულს ძაღლების გნიასი ფარავდა, ღელავდნენ ნაკრძალის დაუპატიჟებელი სტუმრებიც...

პირველმა სარეკმა უშედეგოდ ჩაიარა. „რაინდებმა“ თავი მოიყარეს, დიმიტრიმ სავაზნედან ცარიელი ვაზნა ამოიღო და ისეთი ოსტატობით დაუსტვინა ძაღლებს, რომ ახალგაზრდებმა შურით გადახედეს. ძაღლები უმალვე ადგილზე გაჩნდნენ, დაიწყო მეორე სარეკი.

ისევ შველის კვალზე განუწყვეტელი ყეფა და ორი გასროლა, — არის! სიხარულით დაიძახა ერთმა მონადირემ და მომაკვდავი შველი ძლივს გამოჰგლიჯა გაავებულ ძაღლებს.

დიმიტრიმ ბრძანება გასცა: — ბიჭებო, ეტყობა ისეთი სიდიდის არ არის, როგორიც ჩვენ შეგვეფერება, ახლავე ტყავი გავაძროთ და ცვრიანი მწვადებით ვისიამოვნოთ. ოჯახების გასახარებლად კი ღმერთი მოგვცემს, ხელცარიელი აქედან ჯერ არ წავსულვართ, დღევანდელი დღე კიდევ წინ არის.

ათ წუთში შველი უკვე გატყავებული იყო, ხოლო შიგნეულს, თავსა და ფეხებს მდევრები შეექცეოდნენ.

დიმიტრი სამწვადეებს არჩევდა და შამფურებს თლიდა, ჯუმბერი ცეცხლს ანთებდა, როგორც უმცროსი, გრიგოლი და ვანო კი შეშას ამტვრევდნენ. ყველაფერი რომ მოაგვარეს, დიმიტრი წელში გაიმართა, ზედაზნიდან არაგვის ჭალებს გადახედა და ბიჭებს მიუბრუნდა:

— აბა შეხედეთ, რა მშვენიერია ჩვენი ბუნება, აბა კაცს აქ სიარულით რა დაღლის! იცით, აქ, ჩემს ბავშვობაში რამდენი იყო შველი და ირემი, ამდენი რომ ევლო მონადირეს, რაც დღეს ჩვენ ვიარეთ, ათ შველს მაინც მოკლავდა, დღეს კი...

დიმიტრიმ ვერც კი მოასწრო თავისი სიტყვის დამთავრება, რომ ორი არასასიამოვნო სტუმარი, ნადირობის ორი ინსპექტორი, მცხეთელი ნიკოლოზ ბათლიძე და თბილისელი იოსებ კარაჯიანი თავს წაადგნენ მათ. დიმიტრი ერთ ამხანაგთან ერთად გაიქცა და ტყეში მიიმალა.

სტუმარ-მასპინძლობის ადათი რომ არ დაერღვიათ, დანარჩენმა „რაინდებმა“ სტუმრებს მწვადები შესთავაზეს „ნახეთ ადათის რა დამცველი ხალხი ვართო“ და იმაზე კი არ წუხდნენ, რომ დიდი დანაშაული ჩაიდინეს, რომ მოკლეს ბუნების მშვენება, ფაუნის ძვირფასი წარმომადგენელი — შველი, რომელსაც ასე მკაცრად იცავს ჩვენი კანონი, სახელმწიფო.

ნიკოლოზმა და იოსებმა ოქმების ბლანკები ამოიღეს და შეუდგნენ მათ შევსებას. წინააღმდეგობა არავის გაუწევია, ოქმზე ხელი უხმოდ მოაწერეს თავიანთი დანაშაულის დასადასტურებლად. რაც შეეხება მთავარ „რაინდს“ დ. უნდილაშვილს, მანაც მეორე დღეს აღიარა დანაშაული.

საქმე მცხეთის რაიონის პროკურორმა დ. დგებუაძემ სახალხო სასამართლოს გადასცა.

17 მარტს ბუნების მძარცველები, დ. უნდილაშვილი, ვ. მოძღვრიშვილი, გ. შოთნიაშვილი და ჯ. გზირიშვილი წარსდგნენ მცხეთის რაიონის სახალხო სასამართლოს წინაშე.

სასამართლომ შ. კვიციანის თავმჯდომარეობით ბრაკონიერებს მიუსაჯა თითო წლის პატიმრობა, სახელმწიფო სანადირო ფონდისათვის მიყენებული ზარალის 200 მანეთის გადახდა და სანადირო იარაღის კონფისკაცია.

დამსწრე საზოგადოება სასამართლოს განაჩენს მოწონებით შეხვდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. ვინც არანაგებს, ანადგურებს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს, ხალხის საერთო საუნჯეს, ფაუნის მშვენებას, იგი ხალხის, ბუნების მტერია.

ტ. კაპანაძე.

ია ლ ა ღ ე ბ ზ ე...

ფოტოეტიუდი ი. ჭოხონელიძისა, (საქდესის ფოტოქრონიკა).

ძმა ძმისთვისაო...

დაბა სურამში ა. სამხარაძის ეზოში სახლის მშენებლობაზე მუშაობდა ორი ახალგაზრდა კალატოზი რევაზ ბანცური და პავლე გოგოლაძე. წყლის ამოღების დროს ოჯახის დიასახლისს ვედრო ჩაუვარდა ჭაში. კალატოზმა პ. გოგოლაძემ გადაწყვიტა ჭაში ჩასვლა ვედროს ამოსაღებად, მაგრამ დიასახლისმა დაუშალა, ჭა ძველია და მასში ამოშენებული ქვები ინგრევაო. მიუხედავად გაფრთხილებისა, პ. გოგოლაძემ მაინც დაიწყო ჩასვლა. ჭის ნახევარს რომ ჩააღწია, უეცრად კედლებიდან ქვები ჩამოინგრა და გოგოლაძე ჩაიტანა. ჭა 12 მეტრი სიმაღლისა იყო და მასში წყალი კარგა მაღლა იდგა. გოგოლაძის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ჭიდან ყრუდ და შესაბრალისად მოისმოდა ხმა — „მიშველეთო“. მოგროვდა ხალხი, მოვიდა სასწრაფო დახმარება, მაგრამ ამ ძველისძველ ჭაში ჩასვლას და გოგოლაძის შველას ვერავინ ბედავდა.

კალატოზ რევაზ ბანცურს აღარ უფიქრია და ამხანაგის საშველად ჩავიდა ჭაში, საიდანაც ვედროებით ზევით აწვდიდა ქვებს, რომლებიც გოგოლაძეს ეყარა, შემდეგ მოაბა თოკი და ასე ააყვანინა ჭიდან ამხანაგი. მალე ბანცურის ამოსვლის შემდეგ ჭის კედლები მთლიანად ჩაინგრა.

დაზარალებული გოგოლაძე სასწრაფო დახმარებამ სურამის საავადმყოფოში წაიყვანა. ბანცურმა ასეთი თავგანწირვისათვის ხალხის მადლობა დაიმსახურა.

გ. აბაშიძე.

„სპარტაკის“ პირველობაზე

მოსკოვი. 24 მარტი. დღეს აქ გრძელდებოდა „სპარტაკის“ გუნდური საკავშირო პირველობა ჭადრაკში.

ერთმანეთს შეხვდნენ მესამე ადგილის პრეტენდენტები ბელორუსიისა და საქართველოს გუნდები. დიდი ანგარიშით — 6,5:3,5 გაიმარჯვეს საქართველოს მოჭადრაკეებმა. თუ ისინი ხვალ სომხეთის გუნდს დაამარცხებენ, მოიპოვებენ ფინალში გასვლის უფლებას.

ბედმა უმუხთლა

მოსკოვი, 23 მარტი, (საქდესი). საქართველოს მოკრივეთა მარცხი სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც 22 მარტს დაიწყო, ბევრად აიხსნება წილისყრით: ისინი პირველსავე დღეს იძულებული გახდნენ ძლიერ მეტოქეებს შეხვედროდნენ.

ჭაბუკთა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში მჩატე წონაში გამარჯვებული სოხუმელი ვალერი პოპანდოპულო შეხვდა რომის ოლიმპიური ასპარეზობის მეორე პრიზიორს სერგი სივკოს (მოსკოვი). საქართველოს სპორტსმენი არ შეუშინდა რინგის ცნობილ ოსტატს და მაშინვე გადავიდა იერიშზე, აიძულა მოსკოველი დაცვაზე გადასულიყო. მხოლოდ რაუნდის დასასრულს სივკომ მოიპოვა სიმტკიცე და დაიწყო კონტრიერიშები, მოსკოველს ტექნიკურმა უპირატესობამ არგუნა გამარჯვება ქულებით.

ობიექტურმა მოსკოველმა მაყურებლებმა ღირსეულად შეაფასეს საქართველოს მოკრივის შეუპოვრობა, როცა იგი რინგიდან ჩამოდიოდა ტრიბუნებიდან გაისმა შეძახილი: „ყოჩაღ, ვალერი!“.

ქვემსუბუქ წონაში თბილისელი ედუარდ მანდალიანი შეხვდა ოქროს მედლის ერთ-ერთ ძირითად პრეტენდენტს სსრ კავშირის შარშანდელი პირველობის პრიზიორს სტანისლავ სტეპაშკინს (მოსკოვი), მაგრამ დიდი გამოცდილების მიუხედავად, მოსკოველი დასჯერდა მხოლოდ ქულებით გამარჯვებას.

მძიმე გამოცდა იყო თბილისელ რომეო აკოფოვისათვის პირველი ბრძოლა, მისი მოწინააღმდეგე იყო სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი მეორე საშუალო წონაში, რომის ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორი ევგენი ფეოფანოვი (მოსკოვი), აკოფოვი პირველსავე რაუნდში ნოკდაუნში მოხვდა, ხოლო მეორე რაუნდში მოსკოველის აშკარა უპირატესობის გამო მსაჯმა რინგზე შეაჩერა ორთაბრძოლა.

პირველი საშუალო წონის ქართველი მოკრივე ვახტანგ ქველიაშვილი მეოთხედფინალში დაიწყებს შეჯიბრებას.

დუბლიორთა მატჩი

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში ტაშკენტის „პახტაკორისა“ და თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 2:0.

ამ გუნდების ძირითად შემადგენლობათა მატჩი გაიმართება დღეს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

25 მარტი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დონ-კიხოტი (დღისით), ჩიო-ჩიო-სანი (მე-16 აბონ, მე-6 წარმ.), რუსთველის სახელობის — ბახტრიონი (დღისით და საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (დღისით), მღელვარე დღეები (საღამოს).

ტელევიზია: 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი“, 18.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი მერცხალი № 6, 19.00 — კომუნისტური შრომის ახალგაზრდა დამკვრელებთან სტუდენტების შეხვედრის ტრანსლაცია სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:

თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-08, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80, სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 8-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 8-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-82-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 8-80-84, წერილების — 8-73-24, ინფორმაციის — 8-16-90, ილუსტრაციის — 8-20-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 8-03-67, განცხადებების მიღების — 8-64-42.

უე 03883

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.